

ფასი 70 კ.

№ 11-12

*Handwritten signature*

47

წელიწადი პირველი.

# თავისუფლება

თვიური სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

I დეკემბერი 1917 წ.



ქუთაისი

სტამბა „მობა“, პუშკინის ქ., სახ. გოკიელისა.

# თავისუფლება №11-12. I დიონი. 1917 წ.

ორკვირული საბოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

## გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ი ს ს ი მ ლ ე რ ა!

გაზაფხულდა... რწმენის ცეცხლი აგუგუნდა ისევ სულში.  
შავი სევდა, უფერული, დასაფლავდა ბნელ წარსულში  
და ამღერდა, ყოველივე, განახლების ნეტარ ხმაზე.  
და მიტაცებს, და მიტაცებს მეც ბუნების სილამაზე.  
დღეს ჩემს ირგვლივ, ყოველივე, ყვავილებით მოიფინა,  
ვარსკვლავეთის სამეფოში გავიჩინე ახლა ბინა...  
დღეს ამაყი მხედარი ვარ. დღეს მჭექარე მაქვს სიტყვები.  
ამომავალ ცეცხლით ვიწვი... ცეცხლის მგზავსათ მე ვენთები  
და არწივის მესხმის ფთები.

მე დღეს წარმტაც ზეიმში ვარ. დღეს სული თრთის საამურათ.  
აღმოსავლეთს თვალს ვუსწორებ, ამაყათ და ჭაბუკურათ.  
დღეს ჯალათი ვერ მაშინებს, რო მხედებოდა წინათ გზაზე.  
ალარც ვჩივი მე წინანდელ ტანჯვაზე და მონობაზე  
და დასავალს აღარ გავცქერ მწუხარე და იქვით სავსე.  
მე ბწყინვალე გატაცება ნაზ გძნობებში მოვათავსე—  
და ვუგალობ სულთათანას, სულთათანას—ბნელ წყვიაღსა  
და საქებარ ლექსებს ვუძღვნი ჰაეროვან განთიადსა;  
ყური უგდეთ ჩემ ლალადსა.

ცხოველი მზე ამობწყინდა შუალამის დასავალზე—  
და აფხველი მზე მის წსკებას და მის ძალას მთის მწვერვალზე...  
და აქ ვმღეობი განახლების მე სიმღერებს საამურსა.  
აქ ყურს უგდებს ყოველივე, ჩემს სიტყვის მძლე ხმაურსა  
და, თუ ნახოთ, ჩემს სიმღერებს ჯანგის ფერი მოეკიდოს  
და, თუ ნახოთ, რომ მგოსანმა თვისი ტვირთი ველარ ზიდოს  
და, ოდესმე, თუ მე ისევ, შავსა სევდას დავუბრუნდი,  
მაშინ მე, გთხოვთ, მრისხანებით მომაყაროთ ქვა და გუნდი,  
თუ რომ უკან მე დავბრუნდი.

დ. ხიდისთავი.

სენობნიელი.

# უსათაურო.

თუ ეს სტრუქონები იხილვენ დღის სინათლეს, ნურცინ იფიქრებს, ვითომც იგინი გამოქვეყნებულიყვენ მკითხველისთვის..

ჩემთვის არ არსებობს მკითხველი საზოგადოება.

თუ ვწერ იმიტო, რომ არ შემძლია უმისობა.

თუ ვაჭვეყნებ იმიტო, რომ ასე მსურს, ასე მომეჭიფებება...

რა თქმა უნდა, მკითხველს შეუძლია კალათისკენ უკრას თავი.. ან და, შეიძლება, რომელიმე თავ-დიდა კრიტიკოსმაც შოიწადინოს ჩემი განქიქებით მიუმატოს კიდევ ერთი საცოდავი ფოთოლი თვის დაფნის გვირგვინს.. ეს წარბსაც არ შემხრის.

ნირსაც არ შემიცვლის.

სასაცილო იქნებოდა, ვირისგან თხოულობდვ ესთეტიზმის პრინციპის აღიარებას. არც იმას ვინაღვლი, უკეთუ მკითხველი გაიკაჭება ამ სიტყვებით.

მხოლოდ სველ ტილოს შევთავაზებ გახურებულ შუბლის გასაგრილებლათ... დ. თურდოსპირელი.

მოჭმედი არმია.

## ალექსანდრე მიხეილის ამ მახვილები.

(ალ. მოჩხუბარძე) \*

### II.

მუდმივმა ომებმა და აზიაში კრისტეანთა სასტიკმა დევნამ ქართველებს თვალები გამოუფშვნიტა და დიდათაც შეაწუხა.

საქართველოს შეგნებულმა ნაწილმა საშობლო ქვეყნის მდგომარეობას მწუხარე თვალით შეხედა. აღარ იცოდა, საიდან, როგორ ეპატრონა დიდათ ვაჭირებულ ქვეყნის მდგომარეობისთვის. ყოველ მოვლინებას მასზე დიდი ზეგავლენა ქონდა და ქართველნი მტრის ჯავრით მწარეთ კენესოდენ. დაგეშილ და მოუშორებელ მტერთა წინააღმდეგ მიეცენ

დრტვინვას და ათასნაირ გეგმებსაც თხზავდენ. ესენი მალე მივიდენ იმ დასკვნამდი, რომ როგორც სპარს-ოსმალები აქეზებენ თავიანთ გმირებს, ომის დროს ვაშაკობაში, ისევე ჩვენ უნდა წავახალისოთ ჩვენი გმირება და ხალხი ომებისთვისო. იმ დროს ქართველნი, ისე დაუძღურებულნი იყვენ რომ მათ თავიანთი საკუთარი ძალით აღარ შეეძლოთ რამე ორგინალური ნაწარმოების წერა და მასში მხატვრულათ აღნუსხვა ქართველ ერის მდგომარეობის. ქართველთა ვითარებამ უპირატესობა ისევ თარგმანს მიანიჭა, ისეც უცხო ერთა თხზულებათა თარგმანი არჩიეს და მალე მის მუშაობასაც შეუდგენ ენერგიულათ.

გულ-დათუთქულმა და გულ-ჩათხრობილმა ქართველებმა იწყეს თარგმნა და სპარსული ენიდან ქართულ ენაზე, სულმოკლე დროს განმავლობაში, თრგმნეს ძალიან ბევრი ძველი ზღაპრული მოთხრობანი. სპარსულ ენაზე, მათ მდიდარ ლიტერატურაში არ დარჩა არც ერთი საქვეყნოთ გათქმული ფალავნების და მეომრების საქებელ-სადიდებელი მოთხრობანი, რომ არ გადმოეთარგმნათ ქართულათ. ულამაზეს ქალთა ტრფიალი მაშინ ფასდება მხოლოდ, როცა მოაშიკე და მოტრფილვე სადმე საზოგადო ბძოლაში, რაინდობას გამოიჩენდა და თვის გმირობით ისახელებდა თავს. უამისოთ, ვაშაკის აშოკობა ლამაზი ქალის წინაშე უმნიშვნელოთაც ჩაივლიდა, მოაშიკე, რაც უნდა დიდი კარგი გვარის და თვალ-ტანადიც ყოფილიყო. მაშინდელ ქართველთ დედათა სქესი ამ შეხედულობით იყო აგზნებული და ეს იყო მათი იდეალიც, თუ გნებავთ. იმ დროინდელ ქართველთა წერლობამ ჩვენ ქალებზეც იქონიეს ზეგავლენა და ჩვენი ნიჭიერი და ლამაზი ბანოვანნიც გაიტაცა ძველი ქართველ გმირთა და მოღვაწეთა ისტორიის გაცნობამ.

ქართველ მთავრგმნელების შრომა უნაყოფოთ არ დარჩა. მათ მიადწიეს საწადელს. მათ ააფთოვანეს ქართველობა. დიდი გმირობა, დიდი გამბედაობაც დაბადეს. ყველა ქართველი

\*) იხ. „თავისუფლება“, № 8.

როსტომობას ჩემობდა, ზალობას, ვოსტამობას, ნურადლობას და სხვებს. ნელ-ნელა საქმისე მოეწყო, რო საქართველო მალე გმირების ბუღეთ გადაიქცა. ყოველი ქართველი ნამდვილ გმირათ შეიქნა, მტრის მკაცრ მოპირდაპირეთ. გმირობას მაშინ, ისე ნატრობდენ ქართველნი, როგორც დღენდელი გმირები აშვიკობას. დედა თავისი პაწაწა შვილის აკვანზე დამღეროდა გმირობის ნანას და ავადებდა მომავალში გმირობას. დედამის ნატვრაც ეს იყო შვილების წინაშე. ამასვე ქადაგებდა ჩვენი საღვდლოება. იგი ასწავლიდა მხნეობას, გამბედაობას, გმირობას, სჯულისა და ქვეყნის გამო თავის დადებას, ეს იყო მაშინდელ ქართველთ სანატრელი საგანი, ამას ელტოდენ, ამას საქირობდენ, ფიქრობდენ.

ჩვენი ძველი მწერლები მხოლოდ ქართველების ამ ნაკლის შევსების საქიროებაზე ფიქრობდენ. რაკი ერთმა თქვა და, ან დაწერა, რო ქართველთათვის თავ-გამეტებული გმირობის მეტი, სხვა არაფერია საქიროო. მას შემდეგ, მიყვა ქართველ მწერლის სიტყვა, მწერლობა და ყველა გმირობას ნატრობდა. ქართველთ, მართლაც, შეიძინეს შნო გამბედავი ბძოლისა, მტრის წინ დაუხარებლათ მისვლა, თავის დადება, ფიცხელ ომში და ათასი სხვანი, რაც-კი მომავალში მათაც დააშვენებდა დიდების სახელით. გმირობის მაძიებელმა ძალამ დროცველარ იშონა და ვეღარ მოიცალა, რო მის გარეშე სხვა რამ დიდ საქირო საქმეებზეც ეზრუნა.

ცალიერი გმირობით, რა იქნებოდა ქართველთათვის, რა გამოვიდოდა მათთვის, თუ ქვეყნის მოღვაწეთ, თავ-დადებულ გმირებს ერთი თანხმობა და ერთობა არ ექნებოდათ, თუ მათ შესმენილი და გაგებულოი არ ექნებოდათ საერთო ქვეყნისთვის ერთობის დიდი საქიროება და ქვეყნის მტკიცე სიყვარული. ჩვენი ისტორიით ვიცით, რო ქართველ ერს 13 საუკუნის შემდეგ, 18 საუკუნის ბოლომდე, მრავალი გამოჩენილი გმირები ყავდა.

გმირები გამოდიოდენ ყველა წოდებაში: თავადობაში, აზნაურობაში, საღვდლო პირთაგან და გლეხებშიც.

ყველა ამ გმირების გონებას ფლობდენ ქართველთ მტრის დამარცხების აზრები. ყველა ეს გმირები მეტის-მეტი მრისხანე თვალით უმზერდენ ქარველთა მტრების ფეხის გაბორძიკებას საქართველოში. ყოველი ქართველი გმირთაგანი მტრის სისხლსაც დაღვედა მით უფრო, რომ იგი თავის ქვეყანას, მტისგან შელახულს, შეგინებულს, და დანაცრებულს უმზერდა, ქვეყნის დამნაცრებელ მტრისთვის როგორ-ღა უნდა ემზირა, თუ არ გმირობით და გამბედავი სიძულვილით.

მტრის დიდი სიძულვილი ყველგან იდგამდა ფეხს, ყველგან აშკარათ გამოდენ მტრებს და ხშირათ მათ პირის პირ უსჯულოსაც უწოდებდენ. ქართველთ ყივლი იყო— „ხმალი მაგ უსჯულოებს, ხმალი მაგ ჩვენ მტრებს, სისხლი მაგ უღმერთო საძაგლებს“ და სხვანი. მტრის ზიზლი ყველას გაუჯდა ძვალსა და ლბილში, ყველა ქართველი გმირულათ იბძოდა ომში. მარა, საუბედუროთ, დრო გადიოდა და მტრის ძალა-კი არ მცირდებოდა, მტერს მტერი ემატებოდა, უფრო მრავლდებოდა. ჩვენ სამშობლოში, ჩვენგან, თუ ასი და ორასი გმირი კვდებოდა დიდი ვაშაკობით და იმათგან ათასი, ამით იმათ ტომს, ისე არ აკლდებოდა რა, როგორც ჩვენ, რათგანც ისინი მრავალნი იყვენ და ჩვენ-კი-მცირე. ჩვენ არამც თუ ასობით, ათობით დაკლებაც-კი გვემჩნეოდა დიდათ. სწორეთ ეს იყო ჩვენი ტომის უბედური მიზეზი, სწორეთ ამან გარეხა ჩვენი ნიჭიერი ტომი, რათგანც ჩვენ გარს მოსულ მტერთა რიცხვი ჩვენზე დაუთვლელი იყო, ერთზე ასი მოდიოდა და, მამასადიმი, ჩვენ, რაც უნდა გმირათ ყოფილვიყავით, მაინც ვერაფერს გავაწყობდით, ბოლოს, დავეცემოდით. ასე იცის ვმირობამ.

მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, საქართველო გმირებით იყო სავსე. ყველა გმირი მტრის მოპირდაპირეთ გამოდიოდა, ყველა

გმირს დიდათ სურდა მტრის განდევნა და ქვეყნის თავისუფლება. ამათი სახელი ყველგან ქუხდა. მარა, წარმოიდგინეთ, რომ იმათ გმირობის დროს, არ ქონდა საერთო მამულის სიყვარული. ყოველი მათგანი ადვილათ მტრობდა ქვეყანას, ერთი უბრალო შური მათში ბადება დიდ შფოთს, განხეთქილებას და მტრობას. მტრობის მეოხებით, მთა მთას ებძოდა და ბარი-ბარს, ყველგან სისხლი და მხოლოთ სისხლი. გმირობისგან გატაცებულ ერის საქმე ისე მოიშართა, რომ მათზე ველარც ერთი კეთილშობილური და მოქალაქური რჩევა და სიტყვაც ველარას შვრებოდა, რათგანც გმირთა-გმირებში მოქალაქური სულ აგვების დამაკავშირებელი ძალა სრულიათ დაკარგული იყო და დარღვეული...

რატო ველარ აწყობდა საქმეს სოლომონ მსაჯული თავის ბძული სიტყვით, თავის რჩევით და დარიგებით იმ დროს, როცა ეს მქუხარეთ ლაღადებდა? გმირებით ხო სავსე იყო მაშინ საქართველო, მეფიდან დაწყებული, ყველა გმირი იყო და, ასე გაშინჯეთ, რომ გლეხის ქალებშიაც-კი იყვენ შემოძარი ქალები, ვიზარცა მაია\*), თამარ, და თინა. რა იქნა ყველა ამით, რა უშველა ჩვენ ტომს და რა იარები გაუმთელა იმ დროს, როცა მისი დრმა იარები ათასნაირათ დაწყლულებული იყო? სრულიათ არაფერი. გარდამეტებულმა თავაშვებულმა გმირობამ უფრო დიდი იარები გაუჩინა, ისეც დრმათ დაწყლულებულ ერს და უკანასკნელ სამეფოს საქმეც, ისე მოიძართა, მდგომარეობა, ისე საშიღნათ აირ-დაირია, რომ საქართველო თავის თავგამოდებული გმირობით, თავის თანამორწმუნე გაუტანელმუნანათ რუსეთის მტარვალს ჩაუდგეს ხელში. ამ ჩაბარების მოთაობა, თადარიგი პირდაპირ ჩვენ გმირებს ეკუთვნით.

\*) ამ დედა მაიაზე ჩვენმა ნიკიერმა ლექტორმა, აღქსანდრე გარსევანაშვილმა ლექსია წარკითხა ქუთაისში, ამ ორიწლისწინათ, ჩვენი უურნალის ფონდის სასარგებლოთ.

სამეფოს წეს-წყობილების ცვლილების მეოხებით, გამოჩენილ და რაინდ გმირებმა, მკირე ხნის განმავლობაში, გვარიანათაც ისარგებლეს. ხოლო, ვინც ამათი მსგავსი სამკაულებით არ იყვენ სავსენი, ვინც ელტოდენ გარე ერთობის შაგიერ, შინაგან ძლიერებისალო რძინებას, რომელთა რიცხვი საქართველოში ერთთობ მკირეც იყო, იგინი დაცივნას მიეცენ თანამემამულეთგან და დევნას ახალ გამგებობისგან, რის მეოხებით, იგინი იშწამსვე გადევნილ იქნენ საქართველოდან და უცხოობაში, სიღარიბეში, დალიეს სული... ამათ ღირსებათ და სათქმელათ ის მანც დარჩება, რომ ვიყავით ციცხალნიო, ჩვენი ცხოვრების დროს, მოვქმედობდით თვალხილულათ მოქალაქურათ, ისე, როგორც ქვეყნის საქმეების მართვის ზომა მოითხოვდა და არა. ისე, როგორც ჩვენთა ქველთა და მსნეთა მესისხლე გმირებს ეწადათ, რომელთაც საქართველო გმირების კალოთ განადგეს და უცხოეთიდან შხმოსეულ მტერს ქართველი ვრი უმოწყალოთ აღეწინეს. ამ მოუსახრებელმა ლეწვამ და თავაშვებულმა შებამ დაცა ქართველი, ამან შეამკირა ქართველი, ამან მოსპო ეს ტომი და ამან გაავერანა საქართველო თავის დაბა-ქალაქებით და სოფლებით!..

სოფელი ცვალებადია, დრო წარმავალი. ყველაფერს ბოლო მოეღება, თვით გამოჩენილ და ძლიერ სამეფოებსაცა, მიჯო წერს პრუდონი: „რომელი ერის სამეფოც გარგვან საქმეების გაძლიერებას ელტვის; იმას მომავალში აღგვა მოელისო.“ ასევე დაემართა ჩვენ საბრალო გმირებსაცა. იგინი თავთავიანთი გმირობით მხოლოთ მკირე ხნის დროისთვის გამოდგენ, მათ იპარბაშეს მხოლოდ 10 წლის განმავლობაში, ვიდრე ქვეყნის წესები მაგრათ და სასტიკათ დამყარდებოდა, ვიდრე საჭირო იყო მათი მქუხარე ხმა, შექმუხნილი სახე და თოფ-ხმალი-ხანჯალით რაინდობა. ამის შექმდე იგინი უსარგებლო მანქანათ შეიქნენ, გარდაიქცენ მხოლოთ სმა-კამის და ქეიფების ზეარაკათ, მამულების წამრთმეველ-გამყიდველათ, და

გლენების დამწიკვებლათ, და სხვა. ვერაფერ საქმეში ამათ შრო და ცოდნა ვერ გამოაჩინეს ვერაფერ საქმეში მათი გმირობა, მათი რაინდობა, მათი ჩამომავლობის და ქვეყნისთვისაც უკუღმართ ხენა და თესვათ გარდაიქცა. მათი გამოუცთელობით და უფიცობით სხვებმა ისარგებლეს და ჩვენ ქვეყანაში სხვებმა დიდათ წადგეს ფენიწინ დაჩვენ კი, გმირნი და შამულის განმადიდენი, ჩავარდით დიდ ვასაჭირში და გუშინ-წინ მოსულ ჩარჩებს მივეცი თაფი მონებთ, ზვარაკებათ და სხვერპლათაც... ამის შეოხებით-მასხარათაც კი ვაფხდით საქვეყნოთ და დღეს ჩვენ ღვდა ქალაქში, ჩვენი ხსენება და ქონებრივი მემკვიდრობაც-კი საეჭვოთ ზღვბა. ლამის, თფილისს დიდი ისტორიული მნიშვნელობაც-კი გაუბათილონ, ლამის, სხვის რუქის კალაპოტში მოაქციონ.

ახლა დღეს გამოჩნდა იმის შედეგი, რასაც ჩვენი შამაბაპები აკეთებდენ ჩვენთვის და, რასაც ისინი გვიმზადებდენ. დღეს ყველაფერი ნათლად ჩანს, თუ რა შეუძლია თვალზე ახვეულ გმირულ ფიზიკურ ბძოლას და ჟხოწი სისხლის ღვრას, თუ გმირებს წინ დახედული შინანი არა აქვთ, ერთობა, ერის რიცხვის ცოდნა და ქვეყნის ვითარების კარგათ აწონ-დაწონვის შრო არა აქვთ.

სამეფოს წეს-წყობილების ცვლილებამ, ქართველი ერი საკმარისათ მოასვენა, ქართველნი მალე მიეცენ მოსვენებას. ამ მოსვენების დროს, მიეჩიენ ქეიფებს, აშვიკობას, ცეკვა-თამაშს და ყოშარბაზობასაც. სხვა რამისთვის-კი ესენი არ იყვენ მომზადებულნი. ამ მომლხენ სია მოწენების შეიღებში იყვენ თითო-ოროლა ისეთი პირებიც, რომელნიც ქართულ ენაზე მეღვქსეობდენ. ზოგნი ზღაპრებსაც კითხულობდენ, ზოგნი ხან-დახან მწიგნობრობდენ კიდე. ბევრი ქეიფისგან მობგზრებულეებში გამოჩნდენ ისეთი ქართველნიც, რომელთაც დაიწყეს მწერლობა. მარა ესენი მწერლობდენ, თავიანთი ნების და სიამოვნების თანახმად. ასეთ გზას ადგენ იმ დროის მეფესანი. მეზღაპრენი, სა-

ღმრთო მწერლები და მოთხრობათა მწერალნიც და მთარგმნელნი. ამავე გზას და ცხოვრების სიტკბოებას მიეცენ ბაგრატიონთ წევრნი, რომელთაც ტახტის ლამპრის შუქი თვალწინ ჩაუქრათ, რომელთა ოჯახის დაცვამაც მათ თვალწინ მოხდა საქვეყნოთ...

მარა დრომ, გარემოებამ და ველურ გმირობით აღზდილმა ვითარებამ ისინი ისე გარდაქმნა, ისე გადააკეთა, რო მათ ყელაფრისგან ხელი აიღეს, ყველაფერს გამოეთხოვენ და წმინდათ აშვიკობის და კუქ-მადრობის საქმეს მიეცენ. ისინი ხშირათ სპარსულ ბაიათების კოლოთი მხოლოთ წითელი კახური ღვინოს და ლამაზ ქალებს ამკობდენ, სადაც მხოლოთ ხორციელ სიყვარულის გძნობებს დამღეროდენ და ისეთ აშვიკობისთვის, რომლებიც თავიანთ მზეთუნახავ სონიქა, ლიზიჩკა, შაშინკებისთვის თავებსაც იხოცდენ, საწამლავსაც სვაზდენ და, ვინ იცის, რას არ ჩადიოდენ. ასეთი შინაარსის ლექსები, მოთხრობები და რომანები, 1800—1840 წლებში, ასობითაც იწერებოდა და ითარგმნებოდა...

თვით საქართველოს ტახტის უკანასკნელმა მემკვიდრეებაც-კი გამარაგოდა ასეთ ლექსების და მოთხრობების თარგმნა ქართულ ენაზე. ამის თარგმანებმა ჩვენ დრომდისაც მოაღწიეს და ზოგი მისი ხელთწერი ჩვენი დროის ქართველს დიდათ გააცვიფრებს. მათში ბევრი ისეთი რამეებია ნაწერი, რომელთა აქმოტანაკი არა და მკირეთ დასახელებაც არ შეიძლება. ამის ზნესა და ხასიათს ხო პ. იოსელიანიც ამტკიცებს.

ამ ცნობილ მემკვიდრის აჩდილის ქვეშ დგანან იმ დროის ყველა ქართველ მწიგნობარ-მწერალ-მეღვქსეები და ყველა ამ გმირთა-გმირის კოლოთი ცეშს თავის ჩანგს, აუღერებს კალამს და გძნობებს.

ძველათ, როცა ქართველებს მოსვენება არა ქონდათ, მაშინ ესენი მიღევდენ საგმირო მოთხრობების წერას; როცა ამათ თავისუფალი დრო ივდეს ხელთ, როცა ამათ შეეძლოთ რომ სამეცნიერო გზას დადგომოდენ და, სომხების

მიბაძვით მიიწე, ეკეთებით რამე, მაშინ ესენი  
 გაჟღერდნენ მკვლარ აშოკობის გაფითარების საქმეს  
 ამათი ასეთი ნაწერებით სულ სივსება ჩვენი ძველი  
 წიგნთსაცავები. ვინც მათ გაიცნობს, ის ამაში  
 ცხადათაც დარწმუნდება.

(შემდეგი იქნება).

**მ გ ო ს ნ ი ს დ ი ლ ა .**

როს ცა პირწმინდობს,  
 ნაზობს ბუნება,  
 სიო კრთის ნელა:  
 მიცურავს ცაზე  
 თვარე მცინარე,  
 ცა-ქვეყნის შორის  
 გამქრალა ბნელი,  
 ყუჩობს ბუნება,  
 ესალმუნება  
 განთიადის უამს...  
 ტკბება გონება,  
 მფლობელობს ნება,  
 სოფლიო მცნება,  
 მგოსნის ოცნებაც  
 აქ იფუჩქნება...

როს ხედავს თვალი,  
 სოფლიო მალი,  
 ბუმბერაზ მთათა  
 ლამაზ აჩდილებს;  
 ფრინველთ კენესაში,  
 ხალხთ მიმოხვრაში,  
 როს ჭვრეტს და ისმენს  
 განთიადის ხმებს!  
 იღვიძებს არსი,  
 ჭუნება ფლასი;

ფხიზლობს ქვეყანა,  
 ფხიზლობს თვით ზეცა:  
 ნეტარებს ყველა,  
 გამქრალა ტანჯვა  
 ქვეყნათ ხალხთ შორის  
 არ ისმის კენესა;  
 ხარობს მგოსანი,  
 მეტყველობს ქნარი,  
 რათგანაც მისი  
 დილაა ესა!...

შეიქნა გუკვირება  
 ფურთნა და ბღღვი  
 ჭექს ქვეყნათ ხმები,  
 ჭექს ცაში რალაც:  
 ცამ ვადინხადა  
 სევდის ქულაჯა  
 და ქაჯთ ხარხარი  
 მიაკლა სადლაც...  
 ცხოვრების ველზე,  
 ტანჯულთ გულმკერდზე,  
 სევდის ნიავი  
 გადაატარა...  
 მგოსანმა თვის ჩანგს  
 ხელი შეახო  
 და ეს სევდები  
 შიგ ჩაამკედარა:  
 სოფლიო სევდა,  
 გულის ზღვა-ელდა,  
 ამცნო ქვეყანას;  
 ამცნო თვით ცასა...  
 ჩუმი ხმა ქვეყნათ,  
 ცხოვრების ველათ,  
 ღაღადებს: „მგოსნის  
 დილაა ესა“!..

ა. ხაბულოანი.

პირველი განათლების უზუი სოფლათ \*).

მოქმედება მეორე.

უბრალო, ღარიბულათ მოწყობილი ოთახია, ერთ ერთ დაბის განაპირა კუთხეში. ოთახს აქვს ორი კარი, მარცხნივ და სცენის სიღრმეში დგას მაგიდა. ტახტი და რამდენიმე სკამი. მაგიდის სწორა, პერზე კაღია გველი და ქვეშ თეფში უდგია. ფარდის ახდის დროს, სტეფანე დგას მაგიდასთან და თავ-გახეთქილი ჯოხით წურავს გველს. შემოდის ტასია საწამლე შუშებით და სიჩქარით ამზადებენ წამლებს.

სტეფანე. — ძალუანი დრო დაგვიდგა, პა!. ამოდენა მუშტარი არცერთ კენჭის ამოღების დროს არ მყოლია! ისე მოდიან, როგორც ბუხები. აპა, ერთი, ჩემო ბებერო, ჩქარა მიმალაგ-მომალაგებე, თორე საცაა, მოვლენ.

ტასია. სულ რამდენი გეყოლება დღეს?

სტეფანე. სულ რვა შეყოლება. თითო ხუთ-ხუთ თუმანს მიძლევს და ესეც კი ორ-მოდო თუმანი! შოვხუდნი, მარა, ბარე, ორი ვაშკაცი ვერ ვიღებს ჩემდენ ფულებს. (ხსნის გველს და გააქვს საჩქაროთ. ბრუნდება სცენაზე და ორივე ალაგებენ :ოახს.) ეხ!. აღარა გამევიდა რა, მარტო წითელი მიწის ლესვით და შელოცვით; მიფვიხდენ, რომ ჩენი გაღესილი წამლები ვერას შევლიდა ავათმყოფებს და აღარც გვიყენებენ კარზე ტალახს. ფჩხილი თუ ვისმე წაშოეჩკინა, მაშინვე დობტურთან მივბის და ჩვენ-კი დავალოთ პირი. მარა, ვენაცვალე ჩემ გამჩენს ი სამართალში! აქიდან იმდენი შემოსავალი გვაქვს, რომ ფული თავზე რო ვიყაროთ, მაინც გვეყოფა. ისე ვწყობა საქმე ამ წელიწადში, რომ ოთხჯელაც გვიყვანენ მგონი, სალდათებს და ეს ხალხიც ისე გადარეულა, რომ თავს არ იზოგავს. ვინ ფულით და ქთაშებით, ვინ — წამლით და ავათ-მყოფობით. ეხ, სად ვაფრინდი ძველებურა ვაშკაცობავ!

ტასია. ვაშკაცები ახლაც ბევრია და გლახები-კი უწინაც იყო! მარა, ხე, ხე, ხე, ხე... ჩვენ ეს წამალი ვაკეთოთ და გამოსადეგი ჩვენთვის ეს გლახები უფრო არიან.

\*) იხ. ჟურ. „თავისუფლება“, № 6.

სტეფანე. ხი, ხი, ხი, ხი!. ვაკეთოთ, ვაკეთოთ და ვაი, შენი ბრალი მაშინ, ამ ბებრუტუნას, თუ მოგადგენ თათრები. თუ სუყველა ავათ გახდა და აქავე დეიწყვიტეს თავი, ჩენი ჯარი, რომ გვიმარჯვებს, ისე გვიმარჯვოს ჩემმა მტრებმა.

ტასია. ვაშკაცები აქაც ვაშკაცებია და იქაც ვაშკაცობას უჩვენებენ მტერს და გლახები უწამლოთაც გლახებია და არც იქ გამოდგებიან!

სტეფანე. — კი, მარა გლახები წამალს სვამენ, კარგები ქთაშებს ხარჯავენ და ბძოლის ველზე-კი ბაბუა ჩემი ადგება და წავა!. ვინ იცის, რამდენი ვაშკაცი გამოასალმა წუთი სოფელს ჩემმა წამალმა!. მე ჯოჯოხეთი არ ამცილდება, ჯოჯოხეთი!. გახსოვს, საწყალობელი ზაქარიას ბიჭი, რომ გამოცხადმა წუთი სოფელს?. სწორეთ სოფლის თვალი იყო, ი ვერანაი. სიკვდილის დროს, რომ ერთი წამოცდნოდა ჩემი სახელი, მაშინ მშვიდობით. ჩემ ასავალ-დასავალს ვერ გაიგებდა კაცი. თურმე, დობტურები ჩააცივდენ, რამ გაგხდა ავათ, გვითხარიო. თუ მიღების დროს არ იყავი ავათ, ამ ერთ თვეში, რა დაგემართაო. მარა ვერაფერი ვერ დაეცდევინებიათ. ახლაც ბგერი ემზადება სასიკვდილოთ. მარა რა ჩემი ბრალია... თუ შემჩა, ხო კაი, თუ არა და, ჯანდაბას ჩემი თავი. ერთი გახრიოკებული თავი მაქვს და ვინ და თავდაღმა დააგორონ და ვინდა — აღმა. (დაჯდება და შუშებში ამზადებს წამლებს).

ტასია. — ხე, ხე, ხე, ხე! მართლა, ძალიან გლახა საქმეს-კი ვშვებით!. მოდი, დავანებოთ თავი და ჩვენც ღარიბულათ ვიცხოვროთ სხვებსავით?. ღო ხედავ, ამდენ ფულს ვიღებთ, მარა ჩვენ ოჯახს არაფერი ეტყობა, როგორც ვცხოვრობდით, ისე ვართ, ისე!

სტეფანე. — კარგი ღვთის მადლმა, ნუ ვაღამეკიდე გუგულის ჩიტივით, თორე შენ ჩუმათ დაგალევიან ამ წამალს და გაგაქიმინებ მაგ გამხმარ ფეხებს!. ძალით ხომ არავის ვასმევ! ნუ დალივენ რა?!. დაფანებოთ თავი, თუ არა,



შენმა გამხმარმა თავმა, შენ რო პენსიები მოგდის, ის არ გვეყოფა თუ! (პაუზა. განაგძობს მუშაობას) აბა, ესენი გამატანიე და, ბარემ, მოვრჩეთ აქაურობას (გადიან. სცენა პატარა ხანს ცალიერია. ბოლოს, შემოდის რამდენიმე საჯარისკაცი ბიჭი).

თქდა.— სანამ გამოვიდოდეს, აქანა დაჯექით, საცაა ი ბიჭებიც მოვლენ. (ჩამოსხდებიან გძელ სკამზე. პაუზა). არა, ბიჭო და, მე ძალიან მინდოდა სალდათათ წასვლა, მარა ე გოგო, რა ჯანდაბათ გადაშევიდა. პატარა რუსულ მინ ვისწავლიდი. დავტოვო, წვეოდე?! ნამდვილ ჩემი ძმა შეირთავს და მე-კი პირ-დაღებული დაერჩები. მერე, ისე მიყვარს, ისე, რო, რა ვიცი, ისე რა შეუყვარდება კაცს!. სხვას რო ქე მინც მიყავდეს, სიყვარულს, იქნებ, გაუძღვებდა როგორმე კაცი. მარა შენი საყვარელი, რო შენმა ძმამ შეიყვანოს, აბა, თქვი ერთი, რა გუნებაზე დადგები?.

1-ლი.— რა გუნებაზე დავუგები და ჯერ ვეტყვი, თუ არ იცის, რო მე მიყვარს თქო და, თუ მინ არ მოიშალა და ითხოვა, არც ერთს ცოცხალს არ გავუშვებ, იცი?.

თქდა.— შენ რაღათ გინდა, რო გაათავისუფლდე სალდათობიდანა?..

1-ლი.— მე, ბიჭო, ქალი შერთვა მინდა ძალიანა და, რა ვქნა, არ ვიცი. ახლა, ვინც მიდის სალდათათ იმათი იმედი აღარა მაქ, ვერ ვუყურებ ამ ომსა? დანიშნული ქალი, რო მიმატოვებინონ, მარტო ჯავრს გადავყვები, ტყვიამ, რო არ მომკლას. რო ეს ოხერი სალდათობა არ მღუპავდეს, მევიყვანდი ამ შემოდგომაზე ი ქალსა და ერთ ურას გავმართავდი. მერე, რო მომაგონდება ქალი მოყვანაი, უპ, უპ, ისე დამიწყებს ხოლმე ტანი ურიამულს, რო!..

თქდა.— ნეტა, მეც შენსავით მქონდეს საქმე, თორე, სულ არ ვუყურებ დანიშნულ ქალს. წავალ სალდათათ და, იქნებ, იქიდან დაჩინიანებულიც ქე ჩამოხვიდე და, მერე, უკეთეს ქალს არ ითხოვ, ბიჭო?! მარა ჩემი საქმე სულ სხვა არი. მე, რაც მომევა, მომი-

ვიდეს. რა ვქნა, ჩემ ზინას-კი ვერავის დავანებებ. ოი, იმას-კი ვენაცვალე სულში!. მარა, რა ვქნა, არ ვიცი! თითქოს ამ ოხერ გულის კიდევ წყინს და კიდევ უხარია. წყინს მიტო, რო განა ისეთი ქალის შერთვა შეიძლება, ორ ძმას, რო დადევდეს?! დევანებო თავი, ჩემმა ძმამ მოიყვანოს, მე რათი ვუყურო თვალებში, არა და ჩემი ძმის ნაჯიჯდნი ქალი მევიყვანო?! სწორი გზა ვერ მომიხახავს, არ ვიცი, რა დამემართება. მარა რაც იქნება, იქნება, რა ვუყო!. (შემოიხედავს ამ დროს სტეფანე).

სტეფანე.— ოხ, ოხვედით? ახლავ გიანლებით. (შებრუნდება. შემოდინ დახანჩვებული ახალგაზრდები: ზოგს ყვინი აქვს გასიებული და ძლივს დაათრევს, ზოგს ყბა აქვს შეხვეული, ზოგს რა და ზოგს—რა...)

2-რე.— (ღუფს ძლივს მოიორევს) გამარჯობათ თქვენი, გამარჯობათ!.

თქდა და სხვანა.— გავიმარჯოს. გავიმარჯოს. დაჯექით ამ სკამზე, ავერ. (ჩამოსხდებიან, ერთის მეტი).

3-მე.— (ყბა ახვეული) შენ პეი, დაჯექი, ავერ. (მარა ის ადგილიდან არ იძვრის) ამ ოჯახქორს აღარაფერი არ ესმის (კიდებს ხელს და აჯენს.)

თქდა. მე ყურებში სწორეთ ვერ გვევიკეთებ წამალს, რო მერეც ველარ გვევიკონო, რა-ლა მეშველება?! ქალი კიდევ, რო მევიყვანო, პირში დამიწყებენ გინებას. შენ-კი უნდა დაალო პირი და მიაჩერდე! (იცინიან.)

3-მე.— არა, ამას, რო გაუკეთა წამალი, უთხრა, რო ორი კვირის შემდეგ, ისე გევიკონებ, როგორც აქამდასო!

1-ლი.— კი, მარა მე მინ ვერ ვენდობი; მე ესე უნდა გვევიკეთო ფეხში, ემისავით. ძალიან გტკივა შენ ძამია?!

2-რე.— არა, ძამია! ცოტა გაკეთებაზე გამამწარა, ძუა რო გოლყარა ძარღვში, თუ არა ახლა. ისე არი გარუმბებული, რო ჩემია, თუ არა, არც-კი ვიცი!.

თქდა.— მე-კი დისალევი წამალი უნდა

გამოვართვა. („მეც—მეც“, წამოიძახებს ზოგი მათგანი).

4-სე. —მე-კი, ყბაზე რაღაცა გოუყეთებინ ემას, ის უნდა გვეიკეთო!. რაღა არი, ძალიან გტკივა?.

3-სე. — არა, ძამია!. ისე გამიხურდა, გასივდა და ფუტუცები გამიჩდა ზენდ, თუ არა ტკივილი არც-კი მიგძვნია. (შემოდის სტეფანე).

სტეფანე. — აბა, ყმაწვილებო, ვის როგორი წამალი გინდათ?.

თედო. — მე დასალევი წამალი მომეცი! („მეც—მეც“, წამოიძახებენ ზოგიერთები).

1-სე. — მე-კი ფეხში გამიკეთე!

4-სე. — მე ყბაზე უნდა გვეიკეთო ვისე! (ამ დროს შემოდის გოგია და კარებში გაჩერდება.)

გოგია. — (თედოს) უპ, რამდენი გეძებე!. სახლიდან ხომ არაფერი დაუბარებიათ?.

თედო. — თქვენები დღეს არავინ არ მიწახანეს!

გოგია. — რას აკეთებთ აქ, რო შვეგროვილხართ?!

თედო. — არაფერს, წამალი უნდა დავლიოთ! შენც დალიე, თუ გინდა. თითო ხუთ თუმანს ვაძლევთ.

გოგია. — რა წამალი?!

თედო. — აი, ეს გვასმევს წამალს. ყველას გაგათავისუფლებთო.

გოგია. — რაიო?!. ეგ ვინ ბძინდება?!. შენ ჰეი, მოწყალეო ხელმწიფე!. შენ გინდა, რომ ამდენ ახალგაზდობას წესი აუგო?! შე იუდა, შე გამცემელო, შენა!!. თქვენ-კი პირუტყვებო, რას ჩადიხართ, განა ერთი თქვენგანი ვერ გძნობს, რომ ეწამლავენ და წუთისოფელს გასალმებენ?! აქნობამდი კიდევ ვერ შეიგნეთ, რამდენი ახალგაზდა გამოასალმეს სიცოცხლეს ასეთმა იუდეებმა და თვისი ჯიბის მოღვაწე ბატონებმა?! ის ჯობია, რომ სამუდამოთ გამოეთხოვოთ ამ ქვეყნას, თუ ის რომ, რამდენიმე წელი თქვენ საშობლოს?! ვინც მიდის, განა ყველა კვდება ბძილის ველზე?. თუმც ათას წილათ ჯობია ბძილის ველზე გმირულათ სი-

კვდილი, სახლში დედაბრულათ სიკვდილს!. თქვენ-კი ახლავე სიცოცხლეს ესალმებით?!

სტეფანე. უკაცრავათ, მე არავის ვასმევ სასიკვდილო წამალს.

გოგია. — ხმა ჩაიწყვიტე!. მე ჯერ თქვენთვის არ მომიცლია!. როგორ, თუ სასიკვდილო წამალს არავის ასმევ?! წაწყმედილო, ძალო!. განა რომელ კაცსაც მაგ წამლის შიზეხით დაიწუნებენ, ის კაცი კიდევ გამოდგება რათმე?! თუ ვარგებულებო, მას კიდევ წაიყვანდენ. მარა ის ამ სოფლის მეტ ბარგათ ხდება და, სადაც უნდა წავიდეს, აღარსად არ გამოდგება!. გონება დახშულნო!!. ვის სიტყვას ისმენთ, ვის ქუუაზე მიდიხართ, ვის უჯვრებთ!. განა იმას, ვინც მზათ არი თვისი ჯიბის გასასქლეებლათ არავინ არ შეიბრალოს, არავინ არ დაინდოს, ყველას სული ამოართვას, ოლონდ-კი თვისი ჯიბე მაგრათ გატენოს?!. განა მას, ვინც მზათ არი თვისი სინდისი რამდენიმე გროშზე გაყიდოს?!. გამომყეთ ამ წუთში, ვისაც თავი სასიკვდილოთ არ გინდათ, გამოდით!. (4-სე გადის მისკენ).

4-სე. — წამოთ, ბიჭო, ეს ნამდვილ მართალს ამბობს!.

სტეფანე. — ნუ დოუჯერებთ, სულ ტყუილს ლაპარაკობს. მე მისანა წამალს არავის არ მოგცემთ, ნუ გეშინიათ!.

გოგია. — ხმა ჩაიწყვიტე!.. ამ ერთის მეტი ჩემ სიტყვას არვინ იჯერებთ, არა?!. თედო, შენ რას შვრები?!. შენ მეტს მე აქ ვერდის ვერ ვიცნობ; რამ გაიძულა, რომ ასეთ საქმეს ჩადიხარ?!. მე გეუბნები, როგორც დედაჩემის ნათლულს, მეზობელს და ჩემ სოფელს, გამოდი ვარეთ!..

თედო. — ვერა, მე სალდათათ წასვლა არ შემიძლია და უნდა ვისაშუალო. იქნებ თავი დევიტოვო.

გოგია. — მაშ, კარგი!. აბა, ვნახოთ, თუ ახლავ პოლიციელნი ვერ დავასხათ! (სტეფანეს) მოითმინეთ, მოწყალეო ხელმწიფე!.. მაშინ გაგაგებებთ ყველაფერს! (მიდის კარებისკენ).

სტეფანე.—ერთ მინუტს მოითმინე, ბატონო, ერთ მინუტს! (გოგია მობრუნდება.) ბატონო!.. შენი ჭირიმე. ყელს ნუ გამამკრიო.. ჩემი ბრალი არ არი, თვით ესენი შემეხვეწენ. თუ თავს დამანებებ, მე ვიცი და თქვენმა პატივისცემამ?

გოგია.—მართლა, თქვენ თვით ჩაციები-ხართ?!

თედო.—ჩვენ თვით შევეხვეწეთ.

უგუჯანი.—ჩვენ თვით შევეხვეწეთ, ჩვენ!

გოგია.—ეს არაფერი გასამართლებელი საბუთია!. თქვენისანა მელეები მაგნაირ საქმეებს ხშირათ ახერხებენ. თავ-პატივს გაიღებდი, თითქო სამადლოთ ყველას შევლიდე და კიდეც ახვეწებდი. მე მაინც ჩემსას ვიზამ და თქვენ, როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით!.

თედო.—ჩვენა გთხოვთ, რომ თავი დაანებოთ!

უგუჯანი.—გთხოვთ, რომ თავი დაანებოთ, გთხოვთ!

გოგია.—მაშ, კარგი, მე ჩემი ვალი მომიშორებია და ძალით-კი არცერთს არ ვაგდენით აქიდან. მშვიდობით!. დამილოცია თქვენთვის ჩვენზე უფრო შორეული გზა. ღმერთმა განსვენება მოგანიჭოთ აბრაამისა წიაღსა შინა!. ნახავთ, რომ მუქს ირტყავდეთ ცხვირში. მარა გვიან იქნება! მოგაგონდებით და ბევრს ინატრებთ, მისი სიტყვა დაგვეჯერებიაო. მარა ტყუილი ფიქრი იქნება... და შენ, ჯალათო!. ნუ თუ სინიდისმა ქვეჯნა არ დაგიწყოს, ამდენ საზიზღარ საქმეს, რომ ჩადიხარ?! მარა, რას ვამბობ!. შენ, რომ სინიდისის ნატამალი შეგჩენოდა, ასეთ საქმეებს დაიწყებდი?!. პირუტყვო!. საქმელნი ხართ და უნდა გქამონ ცოცხალნიც და მკვდარნიც! ოხ! ნეტა, როდის გელირსებათ, რომ თვალეები გაახილოთ და ცხოვრება შეიგნოთ!. მარა ძალიან გვიან; „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო“. და თქვენც ასე დაგემართებათ, სანამ შეიგნებდეთ რასმეს, ზურგზე ათ-პირი ტყავი გადაგძვრებათ და, მერე, ჯანდაბას ყველაფერი!.

თქვენი წადილი აგისრულებიოთ. (გადის, უკან გაყვება 4-ზე).

1-ლი.—მართლა, დამაფიქრა, ბიჭებო, მე მაგან!.

სტეფანე.—ეჰ, მაგას უგდებთ ყურს?! მაგისანები არ იყვენ, ქვეყანა რომ არიგს და კახაკებმა ტყავი გაგვაძრეს?! ისწავლიან ორ ანბანს და მოყვებიან ენის ტარტალს. არა, მაგენს რომ კითხო, ძველი წესები უნდა მოვსპოთო და სალდათებს რომ აღარ გავატანთ, მაშინ უფრო არ მოვსპობთ. ახლა ფული მომეცით, ბარემ, და წამალსაც ვამოვიტან. (აძლიერ ფულებს და გადის).

1-ლი.—მართლა და, სწორეთ ის მოგვივა ჩვენ, როგორც ის ამბობდა, ძან შევშინდი!.

თედო.—რა ვქნა, რაც დამემართება, დამემართოს, ერთხელ მაინც ქე მოვკვდები. (შემოდის სტეფანე და შუშებით შემოაქვს წამლები).

სტეფანე.—ვისაც გათავისუფლება ძან არ გეჩქარებოდეთ, იქ წაიღეთ წამლები და იქ დალიეთ, თორე აქ, ამდენ ხალხს, იქნებ, დაგიკვირდენ. ვისაც გეჩქარებათ-კი ახლავე მოდით. აბა, ვის გინდათ დასალევი წამალი? (თედო და რამდენიმე ბიჭი მიდის მაგიდასთან, უსხამს დიდ ჭიქებზე და აწვდის).

სტეფანე.—ისე ჩქარა უნდა დალიოთ, ცოტა გლახა დასალევია, მარა არა უშავს რა.

თედო.—(სვამს) ვაი, მომწყვიტა გული! (დაიდრიჯება საზარლათ).

სტეფანე.—რამ შევაშინა, ვაშკაცი არა ხარ?! (სვამენ სხვებიც. ყველას ის დღე ადგება). აბა ფეხში ვის უნდა, რომ გაიკეთოს, აქ წამოვიდეს. (გადის ოთახში, 1-ლი მიყვება, და ცოტა ხნის შემდეგ, გამოდის საზარელი ყვირილი: „ვაიმე, დედა!. მოვკვდი, მოვკვდი! ნუ მომკალი, შე ოჯახ დასაქცევო!“). სცენაზე-კი თედოსა და მის ამხანაგებს, ზოგს მკერდზე მიუჭერია ხელი, ზოგს—ყურებზე და საზარლათ დაღრეჯილან).

(ფარდა).

ჯანდაბა.

(რასასრული იქნება)

## ალიოზა ლორთანაძე.

1906 წლის, მარტის ურთ-ერთ რიცხვს, ღამით, ასე, პირველი საათი იქნებოდა, როსტომ შვიდობაძის დაკეტილ ქიშკარს რამდენიმე შეიარაღებული პოლიციელი მიადგა. ქიშკარი მაგრათ იყო ჩაკეტილი შეიგნიდან. ბევრი ეწვალეს, მარა ვერ გააღეს. ბოლოს, როგორც იყო, შეამტვრიეს და შევიდნენ ეზოში.

მასპინძლის ძალი მეტისმეტი ყეფითა და შეტევით არ ისვენებდა. ერთ პოლიციელს ეცა და ასე, რო ზედ საჯდომის სიპილღზე ერთი ლუკმა ხორცი გამოვლიჯა. გამწარებულმა პოლიციელმა იძრო ლეკური, შამოკრა ძაღლს და დაჭრა. ძაღლს ჭრილობა ძალიან ემწვა, კვილით გაიქცა, მიწვა მოაჯირთან და წუწუკუნით ჭრილობის სღეკა დაიწყო.

პოლიციელები შეცვინდნენ როსტომის სახლში. როსტომი და მისი შვილი შიო დააკავეს. ორ-ორი პატრული მიუჩინეს და უთხრეს: არ გაინძრეთო.

შეუდგენ ოჯახის ჩხრეკას. სულ თლად გადმოატრიალეს ყველაფერი. მარა, მათი საკბილო ვერა ნახეს რა.

როსტომის შვილს—შიოს, ჩიტებზე და ყურდღლებზე ნადირობა უყვარდა. ამიტო სახლში ფილთა, საჩიტე თოფი ქონდა და იმისთვის საჭირო თოფის წამალს ყოველთვის სახლში ინახავდა. ამას არც არავინ უშლიდა მას არაოდეს. მარა, ეს დრო სულ სხვა იყო...

ეს კარგათ იცოდა ერთმა იქ მოსულმა პოლიციელმა, როსტომის სახლო მეზობელმა, ალაოზა ღორთანაძემ. ეს ღორთანაძე „აკოლოდჩიკი“ იყო, რომელიც ბოქაულობის თანამდებობის საშოვნელათ ბევრს ენერგიას ხარჯავდა. პირდაპირი მისი ხელობა დასმენა, სიცრუე და ჯაშუშობა იყო. აი, სწორეთ ამ ხელობით შექძლო მას ეშოვა ბოქაულობა, რომლისთვისაც „აკოლოდჩიკობიდან“ მხოლოთ ერთი პაწია წაჯიკავება იყო მისთვის საჭირო, რო ბოქაულობა შიგვთათ.

ეს ღორთანაძე მისი ასეთი ჯაშუშობისთვის, ბარე, ორჯერ კიდევ დაჭრეს მძიმეთ. მარა, რა-კი ორივეჯერ სიკვდილს გადარჩა, მაინც ვერ დაშინდა. გადაწყვიტა: მომკლავენ და მომკლან! რა ვუყოთ, მერე! ერთ დღეს სო მაინც უნდა მოვკვდეო და, სანამ ბოქაულობას არ მომკემენ, ამ ჩემ მეცადინობას არ მივატოვებო.

ღორთანაძემ ძალიან კარგათაც იცოდა, რო მას სწავლა-განათლება ხელს არ უწყობდა და, თუ არა ასეთი ჯაშუშობით, ისე მას ბოქაულობას ვინ მიაშავებდა. სწორეთ ამ მიზეზით იყო, რო როსტომის შვილს—შიოსაც ასე უჯაშუშა, როგორც სხვებსაც: მაგი წითელ რაზმში იყო და თოფი და ტყვია წამალი სახლში აქ შენახულიო.

ეს დრო დენერალ ალიხანოვისგან ჩვენი ქალაქებისა და სოფლების აწიოკების დრო იყო. ამ დროს, ერთი ნამცეცი მიზეზიც საკმაო იყო კაცის დასაღუბავათ, და მართლაც, ასე მოხდა.

როსტომის სახლში, მართლაც, თოფი და თოფის წამალი იპოვეს და ეს სრულიათ საკმარისი იყო შიოს დასაპატიმრებლათ. თოფი, თუმცა საჩიტე იყო, მარა, ეს სულ ერთი იყო საქმისთვის. თოფი, როგორც უნდა იყოს, თოფია და თოფი.

შიო წაიყვანეს და ციხეში მოათავსეს. შიოს მამა, როსტომ შვიდობაძე კარგი გავლენიანი კაცი იყო. აგრეთვე არაოდეს ცუდს საქმეში და მართებლობის საწინააღმდეგო საქმეზე შენიშნული არ ყოფილა. პირიქით, მართალ და შვიდობის მოყვარე კაცათ იყო ცნობილი. ამიტო, შვილის ასე უმიზეზოთ დატუსაღებამ, მეტის-მეტათ შეაწუხა. არ იცოდა, ვისთვის მიემართა. დახმარება და შვამდგომლობა, საქმის დასახმარებლათ, ძალიან ძნელიც იყო. ეს იმიტო, რომ ამ დროს ალიხანოვი მძვინვარებდა. ცხრას ხუთი წლის მოძრაობის მიზეზით, გაბრაზებული რეაქცია სასტიკ ზომებს ღებულობდა მოძრაობაში შემჩნეულ პირებზე. ალიხანოვის მკაცრი ბძანება

ასეთი იყო: დაწვით, მოკალით, ააოხრეთ და ქვა ქვაზე არ დატოოთო.

ამერეთის აოხრების შემდეგ, იმერეთში გადმოვიდა. დაწვა და გადაბუგა: ხარაკოული, ზესტაფონი, სვირი, ქუთაისი, ხონი, ოზურგეთი, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი და გაუნადგურებელი არც ერთი ქალაქ-ბაზარი და სოფელი არ დაუტოვებია. გაჩაღდა ჯაშუშებათ ყველა ყოფილი პოლიციელი და, ვინ იცის, რამდენი სოფლის მცხოვრები მაშინ არ გადაწვეს და მოკლეს. ასეთი ჯაშუშების წყალობით, როგორც ლორთანაძე იყო, ქუთაისის სატუსაღო ცხვე ავსებული იყო ტუსადებით. ვისაც იჭერდენ, იმავე წამში დაჭერილ ტუსადით სია ალიხანოვთან მიდიოდა. დასჯა და გამართლებაც ალიხანოვის უმისოთ შეუძლებელი იყო და სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ როსტომ შვიდი ბაძე ვერავის შოვობდა, ისეთ გამბედავ მოსაშვალე პირს, რომ ალიხანოვთან ეშვამდგომლა, შვილის დასახსნელათ, დრო მიდიოდა. ტუსადნიცა სატუსაღოში იხხდენ, ისჯებოდენ და მათთან ერთად შიო შვიდობაძეც იტანჯებოდა. ვინ, რისი დამნაშავე იყო, ამის განკითხვაში არავინ შედიოდა.

ხმა გავარდა, რომ ყველა ტუსადები უნდა გამოიყვანონ და ხალხის თვალწინ, ქუთაისის ბულვარში უნდა ჩამოახჩონო. ამ ამბის სინამდვილეს ის ადასტურებდა, რომ ალიხანოვის უწყალო განკარგულებით, ყოველ დამეს, ხან ერთი ოჯახიდან, ხან მეორედან გამოყავდათ კახაკებს მცხოვრები, თითო თითოთ და კლავდენ. ამის მიხედვით, როგორც როსტომის ოჯახი, აგრეთვე, ყველა ტუსადთა ოჯახებში, უზარო ტირილი და მოთქმა იყო. ყოველ წამში მოელოდენ ამ გულთა შემზარავი აკტის შესრულებას. სწორეთ ამ დროს, სიამოვნებით ტკბებოდა ჩვენი ცნობილი ლორთთანაძე, რომელიც ბოქაულის ადგილს გულის ძგერით მოელოდებოდა. მარა, რაღაც მიზეზით, საწადელს ვერ მიადწია და ბოქაულობის ადგილის შოვა დიდხანს დაუგვიანდა.

როსტომ შვიდობაძემ, იმდენი მაინც მოა-

ხერხა, რომ ერთი ძალიან გავლენიანი პირი მიგზავნა ალიხანოვთან. თხოვა, რომ შიო შვიდობაძე გაეთავისუფლებია, როგორც უმიზეზოთ დატუსადებული. ალიხანოვმა გამოიკითხა დამნაშაობა შიოსი და რაკი გაიგო მისი, ვითომ წითელ რაზმში მყოფობა და მასთან თოფი და წამალიც სახლში უნახეს, მძანა: მაგის პატივება ყოვლათ შეუძლებელიაო. გათავისუფლების მაგიერ, განკარგულება დააჩქარა და შიო არხანგელსკის გუბერნიაში გადაასახლა. შვამდგომელს უთხრა: თქვენს პატივისცემათ, ის ჩათვალეთ, რომ დასწობა, ან დახვრეტა ვაპატივე, რომელიც მას, უიჭველათ, მოელოდაო.

გავიდა მას შემდეგ თერთმეტი წელიწადი. თუშცა შიოს მამა—როსტომი და მისი მეუღლე მულამ იმედობდენ. ავერ, რამე მანიფესტი გამოვა და ჩემ შვილს გაათავისუფლებნო. მარა ამაოთ. შვილი ხანდახან წერილს უგზავნიდა როსტომს: მე თავს, როგორც არი, ვინახავ აქაო და თქვენ ნუ შეწუხდებითო. მარა როსტომისა და მისი მეუღლის ღრმა მწუხარებას მაინც საზღვარი არ ქონდა. მათს მწუხარებას ის აორკეცებდა, რომ მათი შვილი სრულიათ უდანაშაულო სხვერპლი იყო ლორთანაძისთვის ბოქაულობის ადგილის საშოვნელათ შეწირული. როსტომმა ეს ყველა იცოდა. მარა ლორთანაძეს მაინც ვერაფერს უბედავდა, რათვან უარესს მოელოდა მისგან, თუ როსტომი სამაგეროს გადახდას რითიმე მონდომებდა. იყო გაჩერებული, გულ ჩაშხამული.

უცფათ, უცნაური რამ ამბავი მოხდა: ჯოჯოხეთი დაიქცა, დაკრა რუხეთის სახელმწიფოს გათავისუფლების ხარმა. უფსკრული ამოივსო, გავაკდა კლდე და უღრანი. მაშვრალნი და ტვირთ მძამენი სასწიამოთ გამოეფინენ, კოჭონი როკვად მოემართენ, საპყართა და უძღურთა ძლიერება შეიმოსეს, ამეტყველდენ უტყვნი. ციხის კარები გაიღო, ტყვეთა ბორკილები დაისხვრა და ტუსადნი გათავისუფლდენ. მტარვალნი და ძლიერნი ამა

ქვეყნისანი ციხეებში შერეკეს და დაამწყვდიეს. ეს ისე სისწრაფით მოხდა, რომ ხალხი ჯერ კიდევ გონს არ იყო მოსული, არ იცოდენ, თუ რა ხდებოდა ქვეყნათ. როსტომ შვიდობაძესაც თავი სიზმარში ეგონა...

ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელათ, როსტომს თვისი შვილი — შიო კარზე მოადგა. 11-ი წლის უნახავი შვილი ძლივს იცნო დედამამ. მათი სიხარული და ტირილი ერთმანეთში ირეოდა. ამათი გამოუტყვევლობა მნახველს, თუ მათი მდგომარეობა არ იცოდა, ისინი ჭკუა შემცდარ ადამიანებათ მოეჩვენებოდა. ბოლოს, როცა წარსულის მოგონებამა და მდგომარე გარემოებამ დინჯ საუბარს დაუთმო ადგილი, როსტომმა ყველაფერი უამბო შიოს, ალიოშა ლორთაძის მასზე ჯაშუშობის ამბავი. შიომ იკითხა: ლორთაძე მოკვდა, თუ ცოცხალია? მამამ უთხრა: იმას ბოქაულობა მიკეს, მარა სადაც გაწესეს, ყველგან მიყვა თვისი ბილწი ხასიათი და ამისთვის შესაფერი ჯილდო ყველგან მიიღოვო! არც ერთი ადგილიდან დაუბეჭველი არ გამოუშვიათო. ბოლოს, კიდევ დაჭრეს მძიმეთ, მარა გადარჩა ძლივს და ახლა ზეზე დადისო.

შიომ ძალიან კარგათ იცოდა, რომ ასეთ წინანდელ ჯაშუშებს და უგვანო მოქმედების ადამიანებს აპატიმრებდნენ რეიზვე წამს, იგი ახალ მოსამართლეებთან გაიქცა. აქ შიოს, მხოლოდ ლორთაძის მარტო სახელის ხსენება დაჭირდა, თორე გადაწყვეტილი ქონდათ მისი დატუსაღება. იმავე წამში, ოთხი მილიციონერი გააყოლეს შიოს და თითონ მიანდევს მას მისი დაჭერა — დატუსაღებაც. შიო იმ წამსვე მიიჭრა ლორთაძესთან და დაატუსაღა. ლორთაძეს, შიოს სახე ვიღაც ნაცნობათ ეჩვენებოდა, მარა ცნობით ვერ იცნო. როდესაც ციხეში მიიყვანა დასამწყვდევათ და კარებში შეუშვა, იმავე წამში ძლიერი ხმაურობა ატყდა ტუსაღებისა. იცვნეს ის. აქ რამდენიმე ტუსაღი კიდევ გაუთავისუფლებელი იყო, რომელიც რაღაც გამოუტყვეველი მიხვებოდა, კიდევ ორი-

ოდე დღით შეეჩერებიათ და მეორე დღეს გათავისუფლებას მოელოდა. ამათი უმრავლესობა ლორთაძის ჯაშუშობით იყო, თურმე, დატუსაღებული. აბა, ბიჭებო, დაკათ შავას! გაისმა კიჟინა, ისე დაჟეჟეს საწყალობელი ლორთაძე, რომ სულს ძლივს დაფავდა. შიომ დაუძახა: აქ მოიყვანეთ ის ახალი ტუსაღიო! მოიყვანეს ლორთაძე კარებთან. ნაცნობით დასისხლიანებული თვალებით, შიოს თვალებში ჩააჩერდა და ახლა-კი იცნო, თუ ვინც იყო.

შიომ კითხა: ვერ მიცანიო?! ლორთაძემ მომაკვდავსავით თავი დაბლა ჩაკიდა!!

რ. საჯავახოელი.

10 მაისი, 1917 წ.

გუზინ და დღეს. \*)

ყაზარმაში.

იფეთქა ისტორიაში არ ვაგონილმა უსაშინელესმა ომმა. თელი ევროპა ნგრევის წყურვილმა მოიცვა. ჰაერი თოფის წამლის სუნით გაიჟღენთა. ქვეყნის ბატონ-პატრონი ერთი მეორისადმი მტრობით ყალყზე დადგენ და საუკეთესო შვილები, საზოგადოების რჩეული ნაწილი ურთიერთის საქლეტათ დაირაზმენ...

დაცალიერდა სოფელი. დაცალიერდა ქალაქი..

მამა, ძმა, შვილი ფარ-ხმალით ხელში ბძოლის ველზე უმანკო სისხლსა ღვრის: „შეფეს, სამშობლოს და სარწმუნოებას იცავენ“ გარეშე მტრებისგან.

დაობლდა ბევრი ოჯახი, ვაცივდა ურიცხვი კერა... მოთქმა-გოდება ისმის ყველგან, ირგვლივ წყვდიადი, ჯოჯოხეთი გამეფებულა... და დაურეკეს ზარი გიორგი გლეხიშვილსაც, რომელიც „პატარა გოგის“ წოდებით, დარაჯათ ედგა ჩაგრულ მოძმეთ.

ღიხს! „პატარა გოგისაც“ წაუპოტინა კლანჭები ბელზებელმა, რათგან ომი სხვერპლს

\*) იხ. „თავისუფლება“, № 8.

ითხოვდა... სისხლის წყურვილი ახლობდა მას..  
რატომ არა!?

„პატარა გოგი“ ხო დიდია ახლა: წაბ-  
ლის ფერი ქუჩისა უღვავები უშვენებენ მას  
ისედაც შევნიერ, სიმპატიურ პირისახეს; ფარ-  
თე, მოვლვარე შავი თვალები-კი დაფარულ  
ცეცხლს და შეუდრეველ ენერგიას უბტკიცე-  
ბენ. სწავლა, ნიჭი, სიმამაცე, ტანთელობა...

„შეუდარებელი მეომარი იქნება... ნამ-  
დვილ გმირს წარმოადგენს“.. გაღაწყვიტა  
მტარვალმა და... მიაკრეს მას გულზე საბე-  
ღისწერო „ტილოს ნახევი“ და გაისტუმრეს  
იქ, სადაც აღამიანებს პირუტყვებით ქმნიან,  
პირუტყვებს-კი აღამიანთა გასათელავათ ერე-  
კებიან...

ერთობ გარდიქმნა გოგი, გარდიქმნა გა-  
რეგნულათ, რო ვერ-კი იცნობდი ძველს  
„გოგის“, გოგის ჯგენტომენს, კობტას, შევ-  
ნიერს...

ახლა იგი „ნიენი ჩინია“.

ცხოვრობს „ნიენი ჩინებთან“ საერთო  
კაზარმაში, იზიარებს ყოველივე მათ გაქირვე-  
ბას, მათთან ერთად დისციპლინის რკინის  
სალტებშიც გმინავს. კაზარმული წესები,  
ზნე, ჩვეულება, პირველ დღესვე აჩვენეს მას  
და აჩვენეს, ისე ნათლად, მკაფიოთ, რო გო-  
გის სისხლი ყელში მოებჯინა, გლნება გძნო-  
ბას დაუმორჩილა.

დიახ! პირველ დღესვე აჩვენეს მას, თუ  
რა არი („კაზარმა“, რას წარმოადგენს  
„ნიენი ჩინი“.

და ეს იყო დილით აღრე, ალიონხე...

„А ну, вставай, вставай“.. კრეს  
მას მუჯლუგუნი მოურიდებლათ, მხეცურათ,  
და წამოიჭრა გოგი შეშინებული, თვალგების  
სრესით.

გამორკვევა მისი და პირველი სიტყვა  
პროტესტი იყო, დასაწყისი ბძოლისა.

და გაჩაღდა ბძოლა...

— ერი-ჰაა!.. ჯერ არ მოსულხარ და  
იგინები კიდევ!.. ვიშ, რა დიდი ბატონია!?  
რათ კადრეთ გაღვიძება!?

ეს სიტყვები და გოგის საბანი ქვის ტა-  
ლახიან იატაკზე გაიფინა.

?!!..

ცივა. ქარი-საზარლათ სისინებს... დასუ-  
ღრულია მიდამო.

კაზარმა ცოცხლობს, ჯარისკაცებით გა-  
ქედლილია. რუსი, ქართველი, სომეხი და სხვა  
ერთმანეთში ირევა, ისმის ლაზღანდაროზა,  
ლანძღვა-გინება, სიცილ-ხარხარი...

ერთ ადგილას წრე გაუკვებიათ და ტა-  
შის ცემა აყრუებს იქაურობას. წრეში სიმღე-  
რის ხმაზე თავდავიწყებით ხტის პატარა, ჭრო-  
ლა თვალებიანი, წვირით გამურული ჯარის-  
კაცი, მას შარვალი ვარდება, ოფლი წურწუ-  
რით ჩამოდის. მარა მინც ხტის, „ცეკვავს“  
გულდასმით. აქვე ფელთფებელი დგას, ჯარის-  
კაცთა ოხუნჯობით ერთობა.

ამხანაგთაგან ყბათალებული-კი არ შურავს  
თვის ღონეს, ოღონდ-კი არცინ მოიძღუროს,  
მით უმეტეს, ფელთფებელიც უყურებს მას...

და ხტის და ტრიალებს ბედშავი, ყბათ-  
ალებული, ბუქნას ბუქნაზე აკეთებს. ვილაც  
მასხარამ ხელი ჩაკრა და შარვალი ფეხებამდი  
ჩააძრო; მეორემ — ფეხი გადუღვა, საბრალო  
წაბორძიკდა და იქვე „ნარს“ მიენარცხა.

გაჩადა ერთი აუროზური, სიცილ-კისკისი;  
ურას ძახილმა გააყრუა იქაურობა.

„წყვეტლები!“ კმაყოფილი ღიმილით ჩაი-  
ლაპარაკა ფელთფებელმა და სხვა ადგილას  
გასწია ვასაოთობათ. ყბათალებული-კი სულთა  
თანას ვალობით კარიდარში გაათრის სის-  
ხლის მოსაბანათ...

ამ საზარელ სანახაობას გიგომ დაბოლოს  
მოუსწრო. ყბათალებულის საცოდაობამ გული  
დაუწყლულა მას. იგი მუდმივ ქომაგობდა  
საბრალოს, მარა ყოველივე ამათ რჩებოდა.  
ჯარის კაცების ბნელი გონება ვერ ითვისებდა  
გოგის სიტყვებს, დარიგებას: კაზარმის დისცი-  
პლინას ჩაეკლა მათში ყოველი გძნობა, აღა-  
შინაობა...

„ჯარის-კაცებო!“ ცახცახით მიმართა  
გოგიმ გაპირუტყვებულ „ამხანაგებს“. სირ-

ცხელი თქვენი, რა დავიშავა ამ საბრალომ, რომ მოსვეგებას არ აძლევთ, ტანჯავთ, აწვალვებთ! იგი ხო თქვენი ძმა არი; თქვენი მეზობელი, თქვენებ ბედისგან დაჩაგრული?! გონს მოდით, უბედურებო!

— რა ჩვენი ბრალია, დეილალა და წეიქცა... — იყო გულუბრყვილო პასუხი.

— ზველთფებელიც აქ იყო, უყურებდა... გოგი უსიტყვოთ მოტრიალდა და გაეშურა სამართლის საძებრათ...

„სამართალი“ — კი მას ოთხი საათით თოფქვეშ დგომა მიუსაჯა... სხვისი ქომაგობისთვის...

„На словесных“ დადის კაზარმებში „დეჟურნი“ და აუწყებს ყველას სიტყვიერმაკადინობის დაწყებას.

„ჯარისკაცები „ნარებზე“ მწკრივდებიან. ვზვოდის უფროსი და „ატდელიონები“ თავთავიანთ ადგილს იჭერენ.

— სიწყნარე; ხელები მუხლებზე დაიწყვეთ.. თავი მ-ლლა აწიეთ... მე მიტკირეთ, ბძანებას იძლევა ვზვოდის უფროსი.

— სტებანოვ! ვინაა სალდათი? — ეკითხება იგი ქერა ჯარის კაცს.

— სალდათი არი რუსეთის ყველა მეომარი, დაწყებული „ნიჟნი ჩინიდან“ გენერალამდი, უფალო ვზვოდნო!

— კარგი, დაჯექი... აკობდუნიანც! ვინაა ჩვენი ხელმწიფე? ერთი შენებურათ ჩაარაკრაკე!.. სომხურ-რუსულათ, რადა!.. შენი ძ...რი აქა-იქ.. თუ ძალიან გაგიკირდეს!

— მისი იმპერა...

— გაჩერდი... ასე არ იწყება... მილიონჯერ უნდა გაგიმეარო, შე ძაღლის თავო, შენა!..

— უკაცრავათ, უფალო „ვზვოდნო“ ჩვენი ხელმწიფე არი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა... უდიდებულესობა... ჰმ... ჰმ... ხელმწიფე იმპერატორი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მეორე, უფალო „ვზვოდნო“!

— კოჩაღ, კოჩაღ!.. ცოტა-კი წიფუარხილვ; მარა მეტი არმიაშკას არც მეგვებოვება... დაჯექი...

— გლახიშვილი! ვინაა ჩვენი შინაური მტერი!. მართალია, შენ ნასწავლი კაცი ხარ... ჰმ... „როტნი კამანდირსაც“ კი კრიტიკას უკეთებს.. მარა „უსტავების“ არაფერი გაგვგება... ვნახოთ, შეისწავლე რამე, თუ არა?!

— შინაური მტრები არიან ისინი, რომელნიც რუსეთში არსებულ თვით .. წეს-წყობილების წინააღმდეგ ილაშქრებენ, ცთილობენ მის განადგურებას და ახალის, სამართლიანი წეს-წყობილების დამყარებას...

— განადგურება... სამართლიანი!. ეს შენი გამოკონილია, არ ვარგა... „ეიდური“ სუნი უდის... „უსტავში“ არ წერია... ძალიან სუსტათ იცი!.. ზოლოს, უნდა დააყოლო: უფალო ვზვოდნო, თქვენო კეთილშობილებაგ და... ერთი სიტყვით, ვინც გეკითხება, იმის ჩინის შესაფერი სახელწოდება. გახსოვდეს...

— შესმის, „უფალო ვზვოდნო“.

— გარეშე მტრები ვინ-და არიან?!

— გარეშე მტრები არიან იმ სახელმწიფოთა მართველები, რომელნიც ჩვენს მთავრობას ომს უცხადებენ. უფალო „ვზვოდნო“.

— არაა მართალი... აი, ყური დაუგდე რაფერ კარგათ ახსნას ვოლკოვმა. იგი სოფლის უსწავლელი ბიჭია, მარა დარწმუნებული ვარ, რომ შენზე უკეთესათ განმარტავს... ვოლკოვ!. ვინ არი ჩვენი გარეშე მტერი?!

— ჩვენი გარეშე მტერი არის ის სახელმწიფო, რომელიც ჩვენ გვეომება, უფალო ვზვოდნო...

— კოჩაღ! გესმის, გლახიშვილო?! ასე უნდა... შემდეგისთვის კარგათ ისწავლე, გკითხავ. ახლა დაჯექი, გეყოფა...

გოგი ჯდება მწარე ამოხვებით, რაც ვზვოდის უფროსის ირონიულ ღიმილს იწვევს. „მოტყდი, არა?? აკი გუშინ შეფოთავდი, ეშლას ეომებოდი?! — ამბობდა ეს ღიმილი.

დიხ! გოგი „მოტყდა“, დაიქანცა. მისი ბძოლა, პროტესტი დამარცხებით დამთავრდა, სამართალიმე ზურგი აქცია მას, აღარ დაინდო, არ შეიბრალო. და გოგის სიტყვა, ცრემლში



წალესი, სიტყვა სწორი, პელშავთა დამცველი  
შეატრი სასჯელით იქნა დახშული.

დამუნჯდა ვოგო, დაყარა ფარხმალი...

დაცინვა, სასჯელი; უდიდრი სიტყვა მას  
აღიარ იწვევს საბძოლოვლათ, რათგან დარ-  
წმუნდა. რო სუსტია მისი ძალ-ღონე, ხმა მისი  
რჩება „ხმად მლაღადებელისა უღაბნოსა შინა“.

ფივა ვარეთ... ქარი სისინებს...

კახარმაში სიწყნარვა... „ლექციის“ კი-  
თხვა წარმოობს:

„უფალი ვზოდნი“ „ნიენი ჩინებს“

ქველს ასწავლის...

გ. ვბრალოძე.

(დასასრული იქნება)

### გაითხველს

ამას წინათ მოგახსენებდით (ჟურ.  
„თავისუფლება“, № 7), რომ ისეთი ჟურ-  
ნალი, როგორც „Вестник Завали“,  
რომელსაც 150.000 ხელის მომწერი  
ყავდა, სულს დათავს — შეთქი. ახლა გუ-  
ლის ტკივილით უნდა გაუწყოთ, რომ  
ამ ჟურნალმა ველარ გაუძლო დღეინ-  
დელ გამოცემის მძიმე პირობებს და  
თქვენი ქირი წაიღო.

ჟურნალი „თავისუფლების“ რედა-  
ქციის გასაქირს, რა თქმა უნდა  
ენა ვერ გამოთქვამს და კალამი  
ვერ აწერს. ქვერმეტყველობა აქ სულ  
მეტია.

წლეუნდელი წლის ჟურნალის ფა-  
სი ჩვენ დავაწესეთ 6 მანათი. ასემოვი-  
ქციით იმიტო, რო გვეგონა, ქალაღლიც,  
დაბეჭდვაც აწყობაც და ფოსტით ჟურ გაგ-  
ზავნაც, თელი წლის განმავლობაში, ისე  
გაგძელდებოდა, რო მკითხველს იაფ  
ფასიან სალიტერატურო ჟურნალის წა-  
კითხვას გავუადვილებდით.

მარა მოხდა სრულიათ წინააღმდეგი  
ჩვენი სურვილებისა და ჟურნალის გა-  
მოცემის საქმეც ყირამალა დააყენა.

დავიწყოთ იქიდან, რომ ოზმა ქა-  
ლადლი, რომელსაც შარშან ამ დროს  
ვეიდულობდით 13 მანათად, ახლა  
გახდა 40 მან.

რევოლიუციის გამარჯვებისთანვე,  
ნამეტურ. აპრილსა და მაისში სტამბე-  
ბის მუშაობამ ისეთი არაჩვეულებრივი  
დუღილი დაიწყო ქუთაიშიაც, იმდენი  
თავში სატენი საბუშაო გაუჩდა ამ ჩა-  
მორჩენილ ქალაქშიაც სტამბებს, რო  
ჩვენი „ძმობის“ სტამბა, სადაც იმ თავი-  
დანვე იბეჭდებოდა და იბეჭდება ჩვენი  
ჟურნალი, ამ სამი წლის განმავლობა-  
ში, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში  
ჩაეარდა. სტამბისთვის საჭირო შეიქნა  
ბევრი მუშახელი, უფრო ბევრი ასოთ ამ-  
წყობი და სხვა.

ჩვენი ჟურნალის დაბეჭდვა და აწ-  
ყობა რო გვიჯდებოდა 41 მანათი, ერთ-  
ბაშათ აპრილში მოგვეთხოვეს 80 მანათი  
და ახლა ამ დეკემბრის ნუმრის დაბეჭ-  
დვა აწყობაში, რვა თუმნის მაგიერათ,  
თექვსმეტი თუმანი (160 მან.) წაიღეს.

ახლა გაითვალისწინეთ თქვენი ნა-  
თელი გონებით ეს უმძიმესი მდგომარე-  
ობა ჩვენი საქმისა და ისე განსაჯეთ.

თქვენ იტყვით: შეაჩერეთ ჟურნა-  
ლიო. მარა... ნება გვიბოძეთ, ორიოდე სი-  
ტყვა მოგახსენოთ.

ჩვენ ვუძღვებით ისეთ ჟურნალს,  
სადაც ყველა ჩვენში არსებული პარ-  
ტიის ნიჭიერი მწერლის, ლირიკოსის,  
ბელეტრისტის და დრამატურლის — ნა-  
წერს აქვს ადგილი დათმობილი.

ხოლო კრიტიკულს, პუბლიცისტურს და პოლიტიკო-ეკანომიურს წერილებში ვატარებთ ერთი ცხოველი მოძღვრების თვალ-საზრისს, რასაც გამჭრიახი მკითხველიც ადვილათ შეატყობდა.

მას შემდეგ, რაც ჩვენი თავი გვიკენია, სრულიათ უნგაროთ ვემსახურებოდით ქართულ ლიტერატურას და ამ წმიდა საქმეს ისე შევესისხლებოდით, რო სხვა საქმე, მართალი მოგახსენოთ არც გვეხერხებოდა წინათ და ახლა ხო აუღო არ გვეხერხება.

ამ ჟამათ, როცა სიბერეში ფეხი ჩავდგით, ამ დიდ საზოგადო სამსახურს ვუნდებით დღეც და ღამეც, და ჟურნალი „თავისუფლების“ რედაქციის მაგიდა არი ჩვენი. წმიდა ტრაპეზიც და ჩვენი სახატეც.

უკვე მოგახსენეთ, შესრულდა სამი წელიწადი, რაც თავგამოდებით და ენტუზიაზმითაც ვაწარმოებდით ამ ჟურნალის გამოცემის საქმეს ისეთ მიყრუებულ ქალაქში, როგორც ქუთაისია და ისიც იმ უკუღმართი პირობების დროს, რომელიც განუფლებელი იყო ნიკოლოზ მეორის ბატონობის დროს...

დღეს, ამ დიდი თავისუფლების, ნამდვილი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, ხელის გული სამოქმედოთ ძალზე გვეჭაჭვება შრომისთვის ენერჯია გვეათკვცდება და სულით და გულით გვსურს ვემსახუროთ ჟურნალის წმიდათ გაძღვლის საქმეს და ბძოლის იარაღი ვრთიწუოთაც არ დავყაროთ, და უფრო ამიტომ რომ დროთა დარწმუნებული გახლავართ, დღეს უფრო ღირდება გონებით მოწოდებულ ქართველობას სწორეთ ისე-

თი ჟურნალი, როგორც ჟურნალი „თავისუფლება“.

არა გვსურს ჩვენი აუტანელი გასაჭირი, რომელიც თავზე დაგვტყვია, ვუამბოთ ჩვენი ჟურნალის მკითხველს და დღეინდელი ცხოვრების სიმწრის წუთები კიდევ უფრო გავუმწაროთ.

ჩვენი აზრით, ლიტერატურა და ლიტერატორიც თვისი ნაწერით ცხოვრების სიმწარეს უნდა ანელებდეს.

ჩვენი ვალდებულობა ძალას გვატანს მოწოდებით მივმართოთ მკითხველის სიმპატიას და თანაგძნობას და ვთხოვთ მას, ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება გაუწიოს ჟურნალს.

დღეს ჟურ. „თავისუფლებას“ უკვე 850 საიმედო ხელის მომწერი ყავს. არც ერთ ჟურნალს, თელ საქართველოში, სამი წლის განმავლობაში, ასეთი ბედი არ ქონებია, თუ არ ჩავთლით ჟურნალ „მოამბეს“ როცა იქ მუშაობდა ჩვენი მშობლიური ლიტერატურის არწივი-ნიკო ნიკოლაძე, როცა „მოამბეს“ 1000 ხელის მომწერი ყავდა. იმედი გვაქს, თუ ენერჯიამ არ გვიღალატა, ამ მეოთხე წელიწადში ჩვენი ჟურნალის ხელის მომწერთა რიცხვი მივა 1000—მდე. ამ ხელის მომწერთა დახმარებით და შეწევნით, ჟურნალს რა თქმა უნდა, ადვილათაც შეეძლება ჩვენი საიმედო დემოკრატიის გულწფელი სამსახური.

ამ შემოდგომაზე, დამფუძნებელ კრებისთვის არჩევნების გამო სტამბებს ათასი სამუშაო გაუჩადა და ჟურნალის სისტემატიური გამოცემაც შეფერხდა. სტამბებს ასოებიც არა ყოფნიდა ქუთაისში და ჟურნალის გამოცემა ძალიან

გვიანდებოდა. საჭირო რიცხვი ნუმრებისა ც ვერ მოვასწარით და მასალაც ბევრი დაუსტამბავი დარჩა, ნამეტურკრიტიკის დაბელეტრისტიკის დარგიდან. მარა ყოველთვის ასე ხომ არ იქნება. ვფიქრობთ, მწყობრი და სისტემატიური შრომის და შემოქმედების დროც დადგება და ჩვენც ფთვებს გავშლით დიდი სიამით და ხალისითაც...

ამ დროს, ჩვენი მკითხველებიც აკტიურ მონაწილობას მიიღებენ ჟურ. „თავისუფლების“ გამოცემის საქმეში და დახმარებას არ მოაკლოებენ რედაქციას ამ მომავალ, 1918 წელსაც.

ამ დიდი, აფთოვანებული იმედებით ჩვენ ამხანაგ-მკითხველებს ხელს ვუწვდით და მოვახსენებთ! ამხანაგებო გაემხნევედეთ, ავმადლოდეთ სულით და გულით რათგან ასეთ დიად დროს არ მოსწრება არაოდეს საქართველო და შეერთებული კოლექტიური, წმინდა ევროპული შრომისთვის ერთად გავწიოთ ქაბანი ჩვენი წარმატებით, დიდი ენტუზიახმით და წმიდის გულით ვატაროთ ახალი ცხოვრების მდიდრულათ გაშლილი აფრიადებული ბაირადი\*)

\*) ჟურ. „თავისუფლების“ ფონდისთვის რედაქციამ მიიღო:

1) დეკანოზ მიხეილ სხირტლადისგან	5 მან.	კ.
2) უსნობისგან, № 1	25 „	„
3) უსნობისგან, № 2	5 „	„
4) რაპორშჩიკი წერეთლისგან	„	60 „
5) თ-დი ვიორგი დავ. წერეთლისგან	10 „	„
6) ალექსანდრე ტინსაძისგან	„	50 კ.
სულ	46 „	10 „

შემომწირველებს რედაქცია გულწრფელ მადლობას მოახსენებს.

ქუთაისში, თურმე ზოგიერთ ხელის მომწერს

ქუთაისის ნუმერი არ მიუღია უეპველია. ქუთაისს გარეშე ხელის მომწერლებსაც ეს მოუვიდოდათ.

უმორჩილესათ ვთხოვთ, გვანობონ ესეთი შემთხვევები, რო რედაქციამ ყოველი დახმარება გაუწიოს ქუთაისის მკითხველებს.

დანამდვილებით ისიც გავიგეთ, რომ ჩვენი ერთი აგენტი—ცმაწვილი ზოგიერთ მოქალაქეს, ვთომდა რედაქციისთვის ფულებსაც ტყუებდა. ჩვენ ის აგენტი მაშინვე მოვიშორეთ და, უმორჩილესათ ვთხოვთ, ჩვენს დიდათ პატივსემულ ხელის მომწერთ, ფული არავის უბოძონ ერთი გროშიც, თუ რედაქციის ჰეიტანცია და წერილი არ ექნება თან წამოღებული.

ს ა დ ლ ე ი ს ი.

წინა წერილებში გულის ტყვილით ვუჩვენებდით ჩვენ, იმ არა ნორმალურ პირობებზე, რომელიც დამყარდა ამ რევოლიუციის დროს, საზოგადოთ, რუსეთის და კერძოთ, ჩვენ ცხოვრებაში. ახლა, ამ მოკლე დროში, კამ არანორმალურმა პირობებმა იქამდი მიიყვანა რუსეთის რევოლიუციის და თვით რუსეთის საქმე, რომ, რით დამთავრდება, ეს არა ნორმალური მდგომარეობა ვერ გეტყვით ვერაფერ ევროპის პოლიტიკური დიდი მარჩიელთავანია, ან, როგორც მათ ეძახიან, ევროპის დიპლომატ პოლიტიკთავანი, ყველას რომ ერთადაც თავი შეუყაროთ.

დიდი, ძალიან დიდი სიმწვავე მიიღო, ამ ბოლო დროს, რუსეთის პოლიტიკურ პარტიათა ბძალამ. მებძოლთ ბძოლაში სრულიათ ავრწყდებთ ბძოლის საგანი და პარტიულ ჯინში ასამარებენ მის მომავალ ბედ—იღბალს. თუ არა პარტიული ჯინით, რით უნდა ავხსნათ ის უშველებელი ჯოჯგვოტური ერთი მეორის ყლყტა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ დღეს რუსეთში. და ეს ხდება სწორეთ იმ

დროს, როდესაც უძლიერესი გარეშე მტერი კარზე გვადგია და ყოველ დღე, ველით მისგან რუსეთის სატახტო ქაღალქის აღებას.

რუსეთი იმისანა გზას დაადგა, უიმიდლოთ, ისე უბედლოთ დაექანა უფსკრულისკენ, რომ მისი ფეხზე დაყენება არა თუ ძნელია, შეუძლებელია იმ სახდვრებში მაინც, რომელშიაც ის აქამდე ბატონობდა.

ამოძრავდენ რუსეთის შემადგენელი ერები, ყოველი იმათგანი ასე, თუ ისე, ეძებს მონასოს, შექნას, თავისთვის წეს წყობილება, რომ არც სხვას შეუშალოს ხელი და თვითონაც, სხვისგან შეუწყუბებლათ, მოაწყოს და შექნას თავისი ცხოვრების კალაპოტი და ნორმალური პოლიტიკური სიკაცსაღე.

დღეს რუსეთს გარკვეული მართებლობა არა ყავს, მხოლოდ პარტიათა ბძოლაა. ხან ლენინი—ტროცკის პარტია შლის გამარჯვების დროშას, ხან კერენსკის მიმდევარნი იმარჯვებენ თავის ძმებზე და სისხლით იღებება სამშობლოს ატე—მარე. ისე გამაროტებულნი არიან ეს პარტიები ერთმანეთზე, რომ არც ძნობენ, რა საშინელ ავაზაკობას ჩადიან სამშობლოს წინაშე!

იმის მაგიერ, რომ თავისი ხალხის შემოკმედობითი ძალი დაუძინებელ და მკაცრ მტერზე მიმართონ, ისინი სარგებლობენ იმ დრმა უმეცრებით, რომელსაც ამდენი ხანი დიდი სასოებით ათუთებდა რომანოვების გვარი რუსეთის ხალხში და ერთი მეორეს უსიანებენ, რა მხალოთ და მარტო თავისი ჯინი მოიკლან ან ვინ იცის? შესაძლებელია, დიდ სამსახურსაც უწევდნ ლენინი და მისი მხანაგეში გეროპის დიდ ვეშაპს—ვილგელმს და მისგან არ არიან მოკლებული შესაფერ ეკევიალენტსაც!..

ამ საერთო არეულობის დროს, თითქმის ყველა რუსეთის შემადგენელი ერები ცთილობენ, მონახონ გასაკუთრებული გზა ეროვნული თვითგამორკვევისა და გავითარებისკენ. ამ ბოლო დროს, იმისანა გარდუვალო პირობებში შექნა ამ უმაგალითო გარემოებამ რომ ჩვენ პოლიტიკური პარტიების კირვეუ-

ლი წარმოშადგენლებიც ჩააფიქრა და თვისი ვინაობის გამორკვევის საკითხზე და თვისი სამშობლოს მომავალზე მიაქცევია დიდი ყურათღება! მაღლობა ღმერთს!.. გზა სასიკეთოსი მიცეს მათ ღმერთმა და სწორათ და საკეთილდღეოთაც იმგზავრონ ამ გზით...

დღეს იმისანა დრო დაუდგა საქართველოს, იმისანა დროდებში შერგო თავი რომ მისი შვილები, განურჩევლათ პოლიტიკური რწმენისა და მიმართულებისა, აუცილებლათ უნდა შეერთებულყვენ და ერთი ზრახვით გამქვალულნი უნდა ცთილიყვენ დაეყენებიან იგი სწორ და ბუნებრივ თავის საკუთარ ეროვნულ გზაზე. და ეს დღეს ხდება საქვეყნოთ და უნდა მოხდეს კიდევაც, რათგან ამის მოითხოვდა და მოითხოვს საქართველოს ძირითადი ეროვნული ინტერესები.

დღეს საქართველოსთვის დგება სრულიათ ახალი დრო, ახალი ერა. აქიდან ადგება ის ახალ გზას და ეს გზა იქნება მისი ეროვნული დიდების და გავითარების გზა. მას ამიერიდან აღარ შეაწუხებს ის პირობანი, რომელნიც, დროთაგითარების გამო რომანოვების წყალობით, ელობებოდენ წინ. იგინი განქრენ, წარკიდენ დაუბრუნებლათ, რომანოვებთან ერთად, ჟვითა სიხმარი ღმისაჲ.

მაღლობა ღმერთს—საქართველოს მყარველს!..

მოვესწართ იმისანა ბწყინვალე დღეს, რომელიც ვერ წარმოედგინა ქართველი კაცის ოცნებასაც კი... ეროვნული კრება საქართველოში! ეს კრება იმისანა პირობებში იყრის თავს, რომ, უეჭველია, გადიქმნება საქართველოს დამფუძნებელ კრებათაც...

უწინდელ დროში, მონლოლების და სპარსელებისგან დაბეჩავების შემდეგ, ჩვენ აღვიღაო ვდგებოდით საკუთარ ფეხზე და გავაგძობდით ჩვენ ისტორიულ გზაზე სვლას, რათგან მოთხოვნილებანიც, შეზღუდული გვქონდა და არც სხვა სახელმწიფოებთან გვეკავა არაფითარი კავშირი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ძველ დროს, როდესაც ჩვენ წინ-

პარს ქონდა ზღვით მსვლელება რომაელებთან და საბერძნეთში. ახლო-კი, კაპიტალიზმის ბატონობის დროს ბევრგვარათარი საქართველო დაკავშირებული ვერობის ხმელეთის ცხოვრებასთან.

საქართველოში ისე, როგორც ევროპაში, ორთქლმაფალი ვაკეის და ელექტრონის ძალა მოქმედობს და ყოველი ის სარგებლობა, რაც ამ ბუნების ძალებში შემოიტანეს ევროპაში, ჩვენც ვიგვემეთ. ჩვენი დღიური ინტერესებიც ზედ გადაწულია ამ ძალების შეოხვებით სხვა და სხვა ევროპის ხალხების ინტერესებთან და, ამისთვის, დღეს მეტი გამჭრიახობა, მეტი ფერვგია, მეტი ცოდნა ჯვმართებს ჩვენ ამ თავისუფლების დროს. ამ დროს, როდესაც ჩვენ ჩვენს თავს ვუკუთნით, რათგან ეს დროთვისი პირობებით და მოთხოვნებით მეტათ რთულია, მეტათ დიდიან, შედარებით, უწინდელზე.

უნდა ვეცადოთ, რომ პარტიული ჯინჯინობა და კინკლაობა, თუ სულ არა, დროებით მაინც, მივიწყებულ იქნეს და თელი ჩვენი ძალი, ღონე და ენერგია მოხმარდეს იმას, რომ ახალი დროთვისი მოთხოვნებით შევითვისოთ და მით ცხად ვყოთ, რომ ეს უნარი, უნარი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა ჩვენთვის „არ ახალია, ძველია“. მოვეგონოთ, რომ არც ისე დიდ დროს გაუვლია მის შემდეგ, რაც დიდი ფრიდრიხი, პრუსიის ბძანებელი იხსენებდა ჩვენს „პატარა კახს“, როგორც შეუდარებელ სარდალს იმ დროისას და დიდ ანგარიშს უწევდა მას.

ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ არ იცის, ის ყოველი ხალხის დიდათ დამამკირებელი თვისება, რომელმაც რუსეთი დაამხო, მოგახსენებთ სხვა ერების ჩაგვრა-მოხობაზე. და ეს-კი ერთი ძირითადი თვისებათაგანია ხალხის სახელმწიფოებრივი შემოქმედობის და ტალანტისა...

არ შემოძლია აქ არ მოვიტანო ნეტარ ხსენებული ჩვენი აკაკის ლექსი, რომელშიაც დიდი პოეტა წინასწარმეტყველივით ვვიხსენიო

ვებდა გაზაფხულს და მასთან მოსსაც გამოთქვამდა, რომ ვაი, თუ ამ მომავალ ბედნიერ დროს ვერ ჩამოვართვით ის ძღვენი, რომელიც მის მოაქვსო.

თვალი დაუღვეს ამ ყოფას.  
ძნელი ყოფილა ჰადარა!  
კისერში ჩამიკაქუნა,  
სიბერემ წელში გამხარა.

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ.  
მოვძულებივარ შეილებსა;  
შინაური და გარეშე,  
ჩემზე ილესენ კბილებსა.

შეილება გოდორს მიწნიან.  
ფიქრობენ დაგორებასა.  
ნუ თუ ამაში პაებენ  
ისინი ნეტარებასა?

რა დროსი არი! მე ისეც,  
თავ-დაღმა მიმავილი ვარ...  
შხოლოთ შეგყურებ ახალ დროს  
და მის ხ ვშნით ნოვრალი ვარ.

ნუღარ სწნავთ გოდორს საჩემოს!  
თავს ნუ იწუხებთ ზარითა!  
ჯობს მიეგებოთ გაზაფხულს  
კიანურით და თარითა.

სხვა სუნი უღის, ხო თქვენც გძნობთ?  
მოაჯირითებს უნესა;  
ყველა თან მოაქის, რასაც ჩვენ  
ვფიქრობდით საუკუნესა.

სულ ჩვენთან მოაქვს და, ვაშა!  
რა კარგი დიდი ძღვენია?!...  
ვერ ჩამოვართვით, ვაი, თუ,  
სოტა ამისი მცხვენია.

რა დროს ბძთლავ, ღვთის მადლსა,  
და შინაური ატება?  
მტერი ჯერ კარზე გვადგია  
და უნდა ჩვენი გატება!

არა, ნუ ვიხამთ საქმესა  
გარეშეთ სასანიოსა!  
ღვე, ძველსაც და ახალსაც  
ნათელი მოვფიქვას.

ამ ლექსით უდიდებულესი საქართველოს  
ქირისუფალი გვირგვინს შეერთებას და შეერთე-  
ბული ძალ-ღონით ჩამორთმევას იმ „დიდი  
ძღვენისას,“ რომელიც დღეინდელ დღეს  
ჩვენთვის მოაქვს.

ეს ანდერძისებური დავალება ჩვენი  
დიდი მოამაგისა და მეომრისა დღეს გარ-  
დუღვალ დიად ეროვნულ მოხოენილებათ ხდებ-  
და და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ  
ქართველი ერი ამ იშვიათ დროს, მოიკრფეს  
იმოდენ შემოკმედლობით ძალას, რომ საქარ-  
თველოზე წამოდგება და სხვის მოუხმარებ-  
ლათაც დაადგება თვისი გასაკუთრებულ ის-  
ტორიულ გზას თავისუფალ პოლიტიკურ  
ცხოვრებაში...

19 ნოემბერი.

სერგი ბახტაძე

დასფუძნებულ კრებისთვის\*)

II.

დამფუძნებელმა კრებამ უნდა დაამყაროს  
ახალი სახელმწიფო მართებლობა. პირველათ  
მან უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორი ფორმა  
მართებლობისა უნდა დამყარდეს სახელმწიფო-  
ში: მონარქია, თუ რესპუბლიკა.

ეს საკითხი არც ისე მარტივია, როგო-  
რათაც ჩანს. შეიძლება მონახონ, ისეთი წარმო-  
მადგენლები კრებაზე, რომლებიც დაიწყებენ  
იმის მტკიცებას, რომ ხალხის უფლება შეიძლე-  
ბა იყოს მონარქიზმის დროსაცო. ინგლისშიო,  
იტყვიან ისინი, მონარქიაო. მარა მეფე იქ  
მხოლოდ მეფობს და არა განაგებს. მას სი-  
ღაღდე, მხოლოდ პარლამენტს უფლება და ძა-  
ლაო. ინგლისის პარლამენტს ყოველივე შეუ-  
ძლია ვააკეთოს, ოღონდა ქალს კაცათ ვერ  
გარდაქმნისო და წინააღმდეგ.

აი, ასეთების წინააღმდეგ საქიროა დამ-  
ფუძნებელ კრებაზე დიდი ბძილა.

რესპუბლიკის მომხრეებო იმათ ეტყვიან:  
ყოველივე ეს ასეა. მარა ყოველთვის ასე არ

ყოფილა და არც იქნებაო. როდესაც ინგლი-  
სის პარლამენტმა მოიპოვა უფლება და მეფეს  
მარტო დიაღობა უბოძა, მეფემ პირველათ  
ძლიერ იწყინა ეს. მეფე კარლოს მეორემ შეე-  
რა თარული პირობა ფრანგთა მეფესთან,ლიუ-  
დოვიკო XIV, რომ გასწორებოდა პარლამენტს  
ფრანგული შტაკებით, ხოლო ვაჟმა იაკობ II გა-  
აცხადა: გაათავისუფლებს ქვეშევრდომებს ყო-  
ყოველ დავალებისგან, დაიცავს ყოველივე კა-  
ნონს, პარლამენტისგან გამოცემულსო. დიდი  
ბძოლის შემდეგ, პარლამენტმა შეძლო გაეფ-  
ლო იაკობ II და მოიწვია იმის ადგილზე გერ-  
მანეთის გერცოგი. ეს მოხდა იმიტო, რომ  
ინგლისის მეფეს არ ყავდა არმია, რომელსაც  
დაყრდნობოდა.

საფრანგეთში, მეფის გვარის ამოფხვრის  
შემდეგ, 1792 წელს, ბევრჯელაც აღადგინეს  
მონარქია. მარა ყველა მონარქი მარცხდებოდა.  
ბოლოს, დამყარდა საფრანგეთის დიდი რესპუ-  
ბლიკა.

აი, ასეთი მწარე შავალითები ამტკიცებენ  
იმას, რომ არა დროს და არსადაც არც ერთს  
მეფე არ შერიგებია ხალხის თავისუფლებას და  
ყოველთვის დაუხმარებია ხალხის მტრები. მაშ,  
რათ უნდა გავწიოთ ასეთი რისკი? უფრო უმ-  
ჯობესი არ იქნება აქიდანვე დავამყაროთ დე-  
მოკრატიული რესპუბლიკა, ამორჩეული მთავ-  
რობით, რომელიც პასუხისმგებელი იქნება  
ხალხის წინაშე.

აი, ასე უნდა გადაჭრას დამფუძნებელმა  
კრებამ ეს საკითხი, თუ სურს მას დემოკრა-  
ტიის, მშრომელი ხალხის ბედნიერება.

როგორც-კი გამოირკვევა მართებლობის  
ფორმა დამფუძნებელმა კრებამ უნდა შექნას  
ორგანიზაცია საკანონმდებლო, აღმასრულებე-  
ლი და სასამართლო უფლებით.

საკანონმდებლო ძალა, საზოგადოთ, პარ-  
ლამენტს ებარება, ე. ი. ხალხისგან არჩეულ  
პირებს. მარა თვით პარლამენტი ვწყობა სხვა-  
და სხვანიართ. უმთავრესათ. დღეინდელ სა-  
ხელმწიფოებში პარლამენტი შედგება ორი პა-  
ლატიდან. ინგლისში — თვითა პალატა და პა-

\*) იხ. „თავისუფლება“ № 9-10.

ლატა ლორდებისა. საფრანგეთში პალატა დეპუტატების და სენატისგან. ასევეა სხვა სახელმწიფოებშიაც. რუსეთშიაც რევოლიუციამდი იყო ორი პალატა, სახელმწიფო დუმა და საბჭო. ორპალატიან პარლამენტარულ სახელმწიფოში ყოველივე კანონი წყდება ხმის უმეტესობით, ჯერ ერთ პალატაში და, შემდეგ, მეორეში. თუკი რომელიმე პალატა არ დაამტკიცებს ამა, თუ იმ კანონს, მაშინ ის არ გატარდება ცხოვრებაში. აი, სწორეთ დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადაწყვიტოს, დაამტკიცოს, შედგება ჩვენი მომავალი პარლამენტი ორ პალატიდან. თუ ერთიდან? და ეს-კი ერთი და იგივე არ არი.

ჩვეულებრივად, ზედა პალატის შემადგენლობა ირჩევა სულ სხვა საარჩევნო კანონით, ვიდრე ქვედა და ყოველთვის უფრო შეზღუდვით. საფრანგეთში პალატა ირჩევა საერთო და პირდაპირი ხმის მიცემით, და დეპუტატი, შეიძლება, იყოს ყოველივე მოქალაქე, არა ნაკლებ 25 წლისა, ხოლო სენატში კი, არჩევნები ორ ხარისხოვანია (двухстепенный), ე. ი., ჯერ ირჩევა ამომრჩევლები, რომლებიც შემდეგ ირჩევენ სენატორებს და ამორჩევლათ შეიძლება, ჩითვალოს ყველა, რომერსაც შესრულებია 30 წელიწადი. შეზღუდვა ასეთ შემთხვევაში არი სხვა სახელმწიფოებშიაც.

მაგ. პრუსიაში და ინგლისში ყველაზე უარესათაა, — პრუსიაში ზედა პალატის წევრებს ნიშნავს მეფე, ინგლისში-კი წოდება ლორდების პალატის წევრებისა შემკვიდრობითია (hereditary), გადადის მამიდან შვილებზე.

ზედაპალატა ყოველთვის ზომიერია პოლიტიკურ კილოთი, და უფლებითაც მეტია, ვიდრე ქვედა პალატა.

ორპალატიან სისტემის დამცველები ამბობენ, რომ ზედა პალატა საჭიროა, როგორც ტორმოზი, ქვედა პალატის გასართობათ. დამფუძნებელმა კრებამ უნდა გამოიხოს რუსეთის დემოკრატიისთვის ეს ტორმოზი, არა და ის დაარღვევს თლად ხალხის სრულ უფლობას. როგორც-კი დამფუძნებელი კრება და-

ადგენს პარლამენტის ორგანიზაციას, მაშინვე უნდა დაადგინოს ისიც, თუ როგორ ირჩევიან დეპუტატები და რამდენი ხნით. უფრო სწორი არჩევნები იქნება ის, რომელზეც მე ახლა მოგახსენებთ.

მე მგონია, უფრო დიდ კამიის გამოიწვევს დამფუძნებელ კრებაზე ის, თუ რამდენი ხნით უნდა ამოირჩიონ პარლამენტის წევრები.

სხვა ქვეყნების კონსტიტუციაში სამი და ოთხი წლით ირჩევენ დეპუტატებს. არი კიდევ ხუთი წლით მაგ., როგორც იყო რუსეთში, რევოლიუციამდი. სოციალისტების აზრით, (პრუდონი) დიდი დრო ძლიერ აფერხებს ხალხის უფლებას. ხალხი აბარებს თავიანთ ამორჩეულებს თავის გაჭირებას და ინტერესებს. მარა ხშირათ გაჭირება და ინტერესი ფერადობს დროთა ბძოლაში: იცვლება მდგომარეობა, სულის კვეთება და სს.

და დეპუტატები ამოურჩეულნი 4 წლით, 3 წლითაც-კი, ბოლო დროს თავიანთ რწმუნებულებისა, შესაძლებელია, დაცილდნ ზედაში ხალხს. ასეთი მაგალითები-კი ხშირია. ინგლისში ასეთ დროს მიდებულია დანიშნულ დრომდი მათი დათხოვა. მარა ეს ყოველთვის არ არი და ჯობია დაინიშნოს ყოველთვის წინ და წინ მოკლე დრო, ვიდრე მივმართოთ სხვა და სხვა ზომებს.

უფრო შესაფერისია დემოკრატიული წყობილებისთვის ერთი წლის დრო, მარა ეს დრო პრაქტიკულათ არაა მისაღები. ისეთ დიდ სახელმწიფოში, როგორც რუსეთში, არჩევნები ძალიან ძნელი მოსახდენია და ძვირათაც დაჯდება ყოველ წლიურათ. ამიტო, საფიქრებელია, დამფუძნებელი კრება შეჩერდეს ორწლიოვან, ან სამ წლიოვან დროზე.

III.

შემდეგი საკითხი უფრო საძნელო იქნება და კიდევ გამოიწვევს ძალიან ენერგიულ მსჯელობასაც. ეს იქნება საკითხი იმაზე, თუ როგორი უფლებით უნდა აღიჭურვოს მუდმივი პარლამენტი.

საყოველთაოდ, ყველა სახელმწიფოში,

ინგლისის გარდა, მუდმივი პარლამენტი აწარმოებს მარტო ბიუჯეტს (საგარეო და საშინაო ფინანსის საქმე), გადასახადებს, მიმდინარე კანონმდებლობას, ე. წ. კონსტიტუციონალური, ან ძირითადი კანონები, რომელიც წესდება სისტემას სახელმწიფო ტაგ. გეობისა და არ შეიცვლება ჩვეულებრივ პარლამენტით. ხოლო მაშინ, როცა გადასახად-ლიერებელია და შესასწორებელია ძირითადი კანონები, დასაფლეთ სახელმწიფოების კონსტიტუციები იწვევენ გასაკუთრებით პარლამენტს, ნაციონალურ, ან დამუშებულ კრებას, რომელიც სპეციალურათ ამ მიზნისთვის იკრიფება. მხოლოდ ინგლისში არ არი გასწავება ჩვეულებრივსა და ძირითად კანონებში, და ყოველივე კანონს შეიძლება უარყოფას ანდა შეიცვალოს ჩვეულებრივი პარლამენტით. ამ სისტემას აქვს თვისი დასაფასებელი და უარყოფითი მხარეები: დამუშებულ კრებას დიდი კამათი და შეხლა-შემოხლა დაჭირდება მაზე, თუ როგორი სისტემა მიიღოს: ინგლისის თუ სხვა სახელმწიფოების.

შემდეგ ამისა, აღიძრება საკითხები იმაზე თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს უფლება ამის გამოცხადებისა და ზავის შეკვრისა: პარლამენტს თუ მის წინაშე პასუხისმგებელ სახელმწიფოს? უკანასკნელათ შეიძლება აღიძრეს ასეთი საკითხი: ვანა არაა დასაშვები, რომ რომელიმე უფრო სერიოზული საკითხები გადაწყდეს ხალხის ხმით? ასეთი წესი არსებობს შვეიცარიაში.

იქ ყოველივე ცვლილება ძირითად კანონმდებლობაში ან სამხედრო ბეგარის კანონში, ჯერ უნდა განიხილოს პარლამენტმა და, შემდეგ-კი, თუნდა გადაეცეს ხალხს ხმის უმეტესობით გადასაწყვეტათ. შეიძლება, მაგ., ასეთი ფორმა რუსეთის პარლამენტარულ წყობილებაშიაც გატარდეს, რასაც უნდა მივუყვანო ვეროვანი ყურათღება, რომ ასეთი ფორმა როგორიც მაგ. შვეიცარიაშია, არ იქნეს აქ გატარებული. რათვან ამგვარათ კანონის გადაწყვეტისთვის იქნება საჭირო „პო“ „არა“.

ხოლო ეს „პო“ ან „არა“, ისეთ სახელმწიფოებშია გამოსადეგი სადაც მასსა კულტურულია და სერიოზულათაც უცქერის პოლიტიკურ საკითხებს. შწარე გამოცთილემა თელი ხალხის ხმის გადაწყვეტით ამა თუ იმ კანონისა საფრანგეთში. ნაპოლეონ 1 და ნაპოლეონ 2 ის დროს, როცა საფრანგეთის ხალხი მარტო და მხოლოთ ბრმა გოცხობიდან შედგებოდა, გამოდგა დიდათ სამწუხარო თავისუფლებისთვის, ვინაიდან ისინი დაიბნენ და დაკარგეს თავისი სოციალისტური „მე“.

დამუშებულმა კრებამ უნდა გადაწყვიტოს: შესაძლებელია ჩვენში რეფერენდუმი (ე. ი. გადაცემა კანონისა ხალხის ხმით გადასაწყვეტათ ახლაც), თუ საჭიროა მისი შემდგენისთვის გადადება?

მარა არც ამით, რაც წინა წერილებში მოვახსენეთ არ თავდება საკითხები პარლამენტის უფლებებზე და მის მოქმედებაზე.

რო ვაათავენს მსჯელობას დღეინდელ კონსტიტუციონალურ კანონმდებლობაზე, ომზე და ზავზე, რეფერენდუმზე, დამუშებელი კრება შიადგება, ისეთ მუხლს წეს რიგისას, რის გარშემო ახლაც დულს დიდი ენერჯია და მისწრაფება.

ეს არი საკითხი, ცენტრალიზაციას, თუ ფედერაციის?

იქნება რუსეთში ერთი მთლიანი პარლამენტი, რომელიც გამოცემს თელ რუსეთისთვის ყველა კანონებს, თუ ცალკე ოლქს იქნება უფლება, ამოირჩიოს თვისი გასაკუთრებითი, პარლამენტი, რომელიც აწარმოებს ხალ გამოცემულ კანონებს ადგილობრივ მიზნების მიხედვით ამა, თუ იმ ოლქში? იქნება ერთი მთლიანი პარლამენტი, თუ იქნება ცალ—ცალკე პარლამენტები, ველიკო რუსების, უკრაინელების, ბელორუსების, ლიტოვ ელების, ესტონელების, ლათიშების, სიბირელების კავკასიის აქითა მხარის და სხვა? თუ იქნება ეს, მეორე მხარე გატარებული და დამტკიცებული, მაშინ რუსეთი იქნება ფედერატიული, ე. ი., წვრილ სახელმწიფო ოლქების



ავტონომიურ ნიადაგზე მდგომარეობაში, როგორც შეერთებული შტატებისა, ან და შევიცარია.

ამიტომ საჭიროა დიდი ძალის მანერა, რომ ფარსდეს ისეთი დაწესებულება, რომელიც შემოიკრეფს ყველა გაცალკევებულ ნაწილს რუსეთისა და ჩვეულებისამებ, ფედერაციულ მთავრობის და პარლამენტის კომპეტენციის შიშად არმია, ფლოტი, საერთაშორისო დამოკიდებულება, წონის და ზომის სისტემა, ფულის სისტემა, და ხშირად კიდევ, ფოსტა-ტელეგრაფი და გზათა გადაწინჯვა— შეკეთება. გაიჩნება კიდევ ის, იქნება რუსეთი დაყოფილი სხვა ოლქებიდან დამოუყნის როგორც ფინეთია, თუ როგორც შეერთებულ შტატებშია და შევიცარიაში? შევამბობ, რომ იქნება, უთუოდ, ერთი სატამოფნო საზი თელი რუსეთისთვის. ცენტრალიზაცია და ფედერაცია, — ეს ორი უკიდურესი მხარეა საკითხის გადაჭრისა. მარა შესაძლებელია შუა გზაც.

პარლამენტი იქნება ერთი თელი რუსეთისთვის და ერთი მთავრობა. მარა ცალკე საოლქო ნაციონალური მმართველობა მიიღებს საოლქო თვითმმართველობას.

თითოეულ ასეთ ოლქში იქნება დაწესებული საოლქო სათათფირო, რომელიც განაგებს ადგილობრივ კულტურულ საჭიროებებს: სკოლებს, სანატარულ საქმეს, გზებს და სხვა საქმეებს, იმ გვარს, როგორც ახლანდელი გრაფობა, მარა თელი ოლქის საქმეები უზრუნველ—ყოფილი იქნება. ეს არ იქნება სახელმწიფოებრივი ავტონომია, როგორც ბევრს გონია, უბრალო საერთაშორისო მმართველობისგან. ის გაიჩნება, ჯერ ძალიან ფართო სფეროთთვის მოქმედებისა, არა მარტო დუბერნიის საზღვრებში, არამედ თელ ოლქში. უფლება ნაციონალურ ენის მოხმარება სკოლაში ადგილობრივ დაწესებულებებში, როგორც ადმინისტრაციულში, ასე სასამართლოებში.

(შემდეგ იქნება)

ს. ნანაშვილი.

### რუსეთის სინოდის და მისი აგენტების „საქმენი საემირონი“

ხოჯჯერ აღამიანი ისეთ მძიმე ცოდვაში ვარდობა რომ უკანეს წესლებს ვერ ჩამორეცხვენ.

შექსპირი.

პატრისტულ ჟურნალ „თავისუფლების“ (№ 9—10) ფურცლებზე ბ-ნი ალესილი წერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, რომ „რუსეთის მოძალადე მთავრობამ საქვეყნოთ აშკარაზე გაძარცვა საქართველო და მისსაკუთრა უმდიდრესი საეკლესიო და სამონასტრო ადგილ-მამული, შეფასებული 160 მილ. მანათად, მაშინდელ ფოსობაზეო“.

ახლა ჩვენი სურვილია, ამ წერილით, უფრო განვმარტოთ ეს დიდი საგანი და, იმედი გვაქვს, რედაქცია ნებას გვიბოძებს, ჟურ. „თავისუფლების“ ახლობელ ნუმერში, დაგვისტამბავს მას.

117 წელიწადია, რაც რუსეთის დესპოტი თვისი ბიუროკრატია-ჟანდარმერია-პოლიციით სინოდით და ექსარხოვებით მაჯლაჯუნას-აივთ მძიმეთ დააწვა ჩვენ ხალხს და წურბელივით წოვდა სისხლს.

ამ ხნის განმავლობაში, უღმერთოდ ატყავა ქართველი ხალხი, წაართვა მას სამართალი, სასამართლოებსა და სასწავლებლებში მოსპობ ქართული ენა. ჩვენ ენას „ძალღის ენა“ უწოდდა. ქართველი ხალხი მათ გადასახადებს ვედარ აუვიდა. ქართველისთვის პირში სული-კლ შეშურდა და ყოველთვის იმის ცთაში იყო, შეიძლება, შეტი ხალხი გადმოეხალეზია შიდა რუსეთიდან ჩვენ საუკეთესო მიწა-წყალზე მაშინ, როდესაც ჩვენ მუშა ხალხს უმიწა-წყლობით სული ძვრებოდა. აწ უკვე დამბო ბილი დესპოტია იმის ცთაში იყო, რაც შეიძლება, ისეთი ექსარხოვები გამოეგზავნა საქართველოში, რომელთაც უფრო კარგათ გაეცარცვათ ღვაყელივით უძველესი და უმდიდრესი ივერიის ეკლესიის ქონება. ძალით ამოეფხვრათ ქართული ეკლესია, შექცა, წაძარცვა

ქონებითა და ფულით დაბრუნებულიყვენ რუსეთში. ასე მოიქცა ვესევი, რომელმაც 200.000 მანათი დაუტოვა თვის მემკვიდრეებს და პავლეც, რომელმაც კვერთხით ხელში დაწყევლა ივერიის ეკლესია და თვით წყეული და შეჩვენებული, ქართველი ხალხის მიერ, გაიქცა საქართველოდან...

სინოდმა, აუწერელი უბედურების მეტი, არაფერი მიცა ქართულ ეკლესიას. მისთვის ჩვენი ქვეყანა ნამდვილი და კეშმარტი ბარბაროსების ქვეყანა იყო. სინოდის მოხელეებმა აღიდებულ მტკვარსა და რიონში გადაყარეს ყველა კანონები და დადგენილებანი შესახებ ქართული ეკლესიისა. დაწვეს აუარებელი უძველესი საეკლესიო დოკუმენტებიც. რაც გადარჩა, პეტერბურღში წაიდეს და, ბოლოს, ივერიის ეკლესიისაც ვიღაც კაზახი რუსის რჩევით. (ტორმასოვი) ავტოკეფალობაც (თვით მწყესობა) წაართვეს. მოსპეს 25 ეპარქია, რომელთა შორის, ზოგი 15 საუკუნეს განმავლობაში არსებობდა. გაანადგურეს, ბარბაროსთა მზგავსათ, მრავალი უძველესი მონასტერი, და საქართველოს საეკლესიო მამულებიც, რომლის შემოსავალი—ლირებულობაც, ქვევით გვექნება მოხსენებული, სახაზინოთ შერიცხეს.

ყოვლათ შეჩვენებული და გარყვნილი ექსარხოსი ფეოფილაკტე პირდაპირ აღჩობდა ქართველებს და იქამდე მივიდა, რო შეეხო წმ. ნინოს საფლავსაც. მარა აღარ დაცალდა: იქვე საფლავთან ამოხთა საჯაყი სული.

ექსარხოსმა ვევენი ბეჟანოვმა მონასტრები და ეკლესიები დაქვრდა. ისიღორემ ქართულ ეკლესიებს მამულები წაართვა. ექსარხოსმა ვესევი ილინსკიმ, რომელიც მეტათ გახრწნილი, თავაშვებული და ლამაზი ქალების აშკარა მოყვარე იყო, ვაყიდა ქართველ კათოლიკოსთა უძვირფასესი სამოსელი. ხატებს და სამოსლებს ძვირფასი თვლები ჩამოხსნა და მონაწილობაც მიიღო გელათის მონასტრის გაძარცვაშიც. ექსარხოსმა პავლემ რამდენიმე ასიათასი მანათი ჯიბეში ჩაიჩხრიალო და მისი საყვარლები—სუქანასუქანი რუსის ქალები სემი

ნარიის ეკლესიაშიც მობძანდებოდენ, აშიკთა თვალისაბაქუნებლათ... ამ პავლეს ექსარხოსობის დროს, ივერიის ეკლესიას ორი მილიონი მანათის ნივთებიც დაეკარგა.

ეს ექსარხოსი, თელმა ქალაქმა იცოდა, ყვარობდა სემინარიის რექტორის, ხუცის ჩუდევცის ლამაზ ცოლს და როცა ჩუდევცი ძალღივით მოკლა ცნობილმა სემინარიელმა ლალიძემ ექსარხოსმა პავლემაც მას თავითვისი ანაცვალა... ექსარხოსმა პავლემ სიონის ტაძარში საქვეყნოთ დაწყევლა საქართველო და ამის გამო, ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანმა 8 ივნისს 1887 წ. შეუთვალა: ბოდში მოიხადე, ქართველი ერის წინაშეო.

მარა საქმეს დიდი პოლიტიკური ხასიათი მიცეს... ცნობილმა დუნდუკოვ-კორსაკოვმა, ამ მეცხრამეტე საუკუნის ქართველთა ლენგ-თემურმა ექსარხოსის თხოვნით, დ. ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლა. მალე ყიფიანი პეტერბურღში გაიწვიეს ვითომც და საქმის გამოსაკვლევათ. მარა არაფერი გამოვიდა. ეს ნიჭიერი დიდი ქართველი მოკლეს სტავროპოლის იმ სასტუმროში სადაც ცხოვრობდა. მოყიდული მკვლეელი რა თქმა უნდა არ აღმოაჩინეს... ეს იყო დიდი პოლიტიკური აქტი. რომელიც ევროპის პრესაშიც გახმაურდა.

1870 წლამდე გელათის მონასტრს აუარებელი, პირდაპირ დაუთვლელი სიმდიდრე ქონდა. იმ დროს გელათში ინახებოდა უძველესი, XI საუკუნის ქართული სახარება, ოქროს ყდით, იშვიათი და საუცხოო თვლებით შემკული ეს სახარება ექსარხოსის ნებართვით წაიღო ქუთაისის ღუბნეტორმა გრაფმა ლევაშოვმა, რომელმაც ოქრო ჩამოხსნა, და ვეცხლის ყდა გააკეთებია. ახლა წინანდელი ოქროს ყდა ინახება პეტერბურღის სტროგონოვის მუზეუმში, რომელსაც იგი გრაფმა პანინმა გადაცა. ამ ყდაში ინგლისელები იიღეოდენ ერთ მილიონ მანათს. ამავე მონასტერში ინახებოდა იმერეთის კათოლიკოსთა საპატრიარქო სამოსელი, რომელიც სტამბოლის აღებადის

იყო გაკეთებული და მეტის მეტათმეირათაც ღირდა. ამ შესამოსლოდან გადაადნეს 8 ვირვანქა ოქრო. ხოლო მარგალიტებ-ბრილიანტ-ფირუშებიდან, წარმართთა მეფის, ბალტაზარის მსგავსათ, რუსის დედაკაცებს სამკაულები გაუკეთეს. ამავე ხანებში ამავე ექსარხოსის ნებართვით, სიონის უძვირფასესი ტაძრიდან დაიკარგა აუარებელი სიმდიდრე: ოქრო, რამდენიმე ფუთი მარგალიტი, ფირუში და უძვირფასესი ქვა. ასეთივე დღე დააყენეს დიდიმცხეთის დიდილავერდის, ბოდბის, ნინოწმიდის, იოვანე ნათლისმცემლის, ჯუმათის შემოქმედის და სხვა მონასტრებსა და ტაძრებს...

სიონის ტაძრიდან გრატმა ბობრინსკიმ ეგზარხოსის ნებართვით, მრავალი ძველი ხელნაწერი წაიღო. გელათის მონასტრიდან დაიკარგა სავატრიარქო თვალ-მარგალიტებით მდიდრათ შემკული მიტრა, რომელსაც აშვენებდა მეფე ვახტანგის ვვირგვინის ბრილიანტების ჯვარი. ვახტანგმა ეს იშვიათი და საუცხოო ბრილიანტები სპარსეთთან, ომის დროს, იშოვა. პავლეს დროს, მეტეხის ეკლესიიდან დაიკარგა ხუთი ათას თუმნათ ღირებული ხატი, რომელიც წინათ სამკრიტურში ინახებოდა. 1891 წელს, ეს ხატი, ამავე ეკლესიის სახურავის ქვეშ, იპოვეს. მარა ზედ აღარაფერი ქონდა. ამავე ეგზარხოსის დროს, სიონიდან დაიკარგა უძვირფასესი ღვთისმშობლის ხატი. პალლადიმ ერთ სომეხ მხატვარს ნება დართო საქართველოს მონასტრებიდან მრავალი ხატი წაეღო და გაეყიდა. ამიტო მოხდა, რომ უძვირფასესი და უმდიდრესი მანუსკრიპტები ლონდონს, რომსა პარიზისა და ბელინის ბუზეიმებშია. ეგზარხოსმა აღექსიმ, ახლა რო კჳუა შერყეულია და გონებით შერყეულთა საავთმყოფოშია მოთავსებული, ცნობილი ავაზაკი ხუცის ვოსტორგოვისა და არხიმანდრიტ ნიკანდრის ჩაგონებით, 1915 წელს, 30 მაისს გამხეცებული და გაღვეილი კაზაკი რუსები მიუსია თფილისში შეკრებილ ქართველ საღვდლოებს და უთარალო ხალხს უშველებელი შეურაცხება მოაყენა. ამავე ავაზაკებმა გააძევეს საშუა-

ბლოდან ჩვენი სიამაყე კათალიკოზი-პატრიარქი კირონი 2-ეს მეცხრამეტე საუკუნის საშუაბლოს უმაჯალითო დიდი ფილანტროპი და ღრმათ განსწავლული ისტორიკოს-არქეოლოგოსი.

ექზარხოსი ინოკენტი, ეს საშვალსაუკუნოების მსგავსი უსასტიკესი ინკვიზიტორი, სწორეთ, რო ჯალათათ გამოგზავნა საქართველოში სინოდმა. სამი წლის განმავლობაში იმდენი ბოროტება მოაყენა ივერიის ეკლესიას, რასაც სხვები ათ წელს ანდომებდენ: მანვე უსიტხვილოთ გააძევა საქართველოდან უნიკიერესი პირი საქართველოს ეკლესიისა, ისტორიკოსი ამბროსი მიტრაპოლიტი, ჭკონდიდელი და, ეპ. დავითი. მანვე ნიშანში ამოიღო ღვდელ-მთავარი ლეონიდე, და მოაშორა იმერთის კათედრას. საქართველოსაც უპირებ და ყველა ებარქიებში, პოლიტიკან რუსის ღვდელმთავრების დანიშნენას. მარა აღარ დაცალდა და სული... განუტევა... ყველასკი გადაქარბა ახლა ხან — ნაეგზარხალმა პლატონმა, რომლის შავრაზმელობას „ქვანციკი ღალადებენ“.

ღღემლი საქართველოს საექზარხოსოში იხარჯებოდა 809.000 მანათი. აქიდან 200.000 იხარჯებოდა რუსისა და ბერძნების საღვდლოებაზე და ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებაზე.

მარა ამაზე უფრო დიდათ საინტერესოა ვიცოდეთ. თუ რამდენი სახალხო, ღარიბი ქართველების ქონება წაიღო პოლით რუსეთის დესპოტმა საქართველოდან.

ქართულეკლესიას რუსეთის მტარვალმადლით ჩამოართვა თფილისში ერეკლეს აბანო, 12 ბაღი, 11 სახლი, 28 დუქანი, 1 სამღებრო, 1 სათეფხო ადგილი ქარვასლა და ადგილი. ზომით 437.719 ოთხ კუთხი საჯენი, სიერთოდ, ღირებული, 28.910.000 მანათად თფილისის ღებერნიაში — ორი სავაჯო ადგილი 11 საკირე, აგურხანა, 9 სამღებრო, 2 თეგზის დუქანი, 283600 დესეტნა მიწა, სულ 79.570.000 მანათად ღირებული. იმგონეთნი,

40,475 დესეტინა მიწა 29,787, 500 მანათად ღირებული. გურიაში—356 დესეტინა მიწა, 328,000 მანათისა.

საერთოდ თელი ძალით წართმეული ქონება ღირს 137,600,000 მანათი. ამას როსაეკლესიო 14,140 კომლი გლეხიკ მიჯუმატოთ, 160,330,000 მანათზე მეტი გამოვა. მაშინდელ ტვასობაზე...

ამ რიგაი თქვენი ნათელი თვალით ხედავთ რუსეთის დესპოტიამ მრავალტანჯულ ქართველ ერს 160 მილიონი მანათი წაართვა. რეგალიჯა კაჩალურათ. მერე იცით, თუ რას ნიშნავს ეს ერთი მუჭა ხალხისთვის 160 მილიონი მანათი დღეს? ამ აუარებელ ქონებას, სულ ცოტა, რომ ვიანგარიშოთ, 15 მილიონი მანათი წმინდა შემოსავალი ექნებოდა, რაც თავამად უდრის წვრილ სამეფოთბულთარეთისა, სერბეთის, ბელგეთის, პოლანდიისა და სხვათა წლიურ სახელმწიფო—საწარმოო ბიუჯეტს, ხოლო ზოგიერთებისას ბევრათაც აღემატება.

ღიდათ საყურათღებო ის გახლავთ, რომ სომხებს 1905 წ. დესპოტიამ უკანვე დაუბრუნა ძალით წართმეული საეკლესიო მამულების შემოსავალი... აი, სად გცხოვრობდით და ვის ხელში ვიყავით?! მარა, ან—კი რომელი ერთი მოთვალოს კაცმა რუსეთის სისხლის მსშელის ძველი მთავრობის „საქმენსაგამირონი?!“

ამის შემდეგ, განა გასაკვირალია, რომ ქართველი საღვდღელოება სულ არაფრის მქონებელი იყოს და მათხოვრობდეს?!

მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები, როგორც ქართველი ერის მიერ არჩეული, დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნი დეპუტატები ამ ძალით წაგლეჯილი მამულების განაღდებას საქვეყნოთ მოითხოვენ და გადაცემენ მის კანონიერ პატრონს—ქართველ ერს.

ქართველი ერი, მერე თავის საღვდღელოებას თუ რუსეთის სინოდისთა მათხოვრათ

დატოვებს, ეს იმისი სინდისის და რწმენის საქმეა.

ვლ. შაქარაშვილი.

### კარლო ჩხეიძის სიტყვა\*)

(დასასრული)

1) რაც შეიძლება, დაჩქარებით უნდა იქნას მოწყობილი ადგილობრივი თვითმართველობა. ამის მოითხოვს, როგორც რევოლიუციონური წესრიგის გამტკიცება, ისე დროებით მთავრობის ზოგიერთ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება.

2) ადგილობრივი თვითმართველობანი, რომელნიც არჩეულ იქნებიან საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, უნდა ასრულებდნენ ადგილობრივ სახელმწიფოებრივ მართველობის ფუნქციებს. მათ რ უნდა დაუპირდაპირდნენ სხვა ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოები. ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელს უფლება ეძლევა თვალყური აღევნოს ადგილობრივ თვითმართველობათა მოღვაწობას, რომ ის კანონის ფარგლებს არ გადაცდეს.

3) ამის და მიხედვით, საჩქაროთ გადამუშაებულ უნდა იქნას ქალაქთა, ერობათა და მილიციის შესახებ დებულებანი, უნდა გაფართოებულ იქნეს ადგილობრივ თვითმართველობათა კომპეტენცია საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების, ფინანსური და მუშათა კანონმდებლობის გამოცემის საქმეში.

4) დროებითი მთავრობის კომისარების მოვალეობა, რომელთაც ადგილობრივთ ირჩევენ და რომელთაც მთავრობა ამტკიცებს, ვარდაშავალია—რჩება მხოლოდ რევოლიუციონურ ხანაში.

5) ერობათა თვითმართველობის არჩეულებისას, აღმასრულებელ კომიტეტებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების უფლებანი იმ დარგში, რომელშიაც ერობამ უნდა იმოღვაწოს, უქმდება.

საძნელო და თან საბასუხისმგებლო სა-

\*) იხ. „თავისუფლება“ № 9-10.

ხელმწიფოებრივი საქმენი დემოკრატიისგან მოითხოვენ: ქვეყნისა და რევოლიუციის დასახსნელათ ყოველივე ცოცხალი ძალა უნდა იქნას ამოძრავებელი რუსეთში მცხოვრებ ყველა ერებისა. ნაციონალურ საკითხების ხრული გადაჭრა უნდა მოახდინოს დამფუძნებელმა კრებამ. ამიტომ ახლა საჭიროთ შიგვაჩნია რევოლიუციონურ ძალთა პოლიანობის შენახვა. მარა, ამასთან ერთად, დემოკრატიული პროგრამის იმ ნაწილების დაუყოვნებლივ შესრულებას, რომელიც დააკმაყოფილებენ რუსეთში მცხოვრებ ერთა არსებით მოთხოვნილებებს და ასე მათ შეაკავშირებს ერთ ძლიერ რევოლიუციონურ ორგანიზაციაში. ამ წამათ დემოკრატიას აუცილებლათ შიანია:

1) დროებით მთავრობის მიერ დეკლარაციის გამოცემა, რომლითაც ყველა ერს უფლება მიეცემა თვითგარკვევსა, რაც მოხდება დამფუძნებელ კრებასთან შეთანხმებით.

2) დეკრეტის გამოცემა ენათა თანასწორობის შესახებ. მინიჭება ყველა ერებისადმი იმ უფლებისა, რომ მათ უფლება ქონდეთ თავიანთი პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებების გახორციელების დროს, ისარგებლონ მშობლიური ენით სკოლაში, სასამართლოში, თვითმართველობებში, სახელმწიფო მთავრობასთან მიმართვის დროს და სხვ.

3) უნდა დაარსდეს დროებით მთავრობასთან საბჭოები ნაციონალურ საქმეთა შესახებ, სადაც უნდა შედიოდნენ რუსეთის ყველა ერთა წარმომადგენლები. ამ საბჭოებში უნდა დამუშავებულ იქნას სასაღებო ეროვნული საკითხის შესახებ, როგორც დამფუძნებელი კრებისთვის, აგრეთვე ეს საბჭოები გამოიმუშავენ სხვა და სხვა ზომებს ერთა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

აი, ეს შიხნები უნდა იქნას გახორციელებული ქვეყნისა და რევოლიუციის დასახსნელათ. ამის გასახორციელებლათ მოუწოდებენ მთავრობას ის პასუხისმგებელი ძალები, რომელთაფვის ძვირფასია რევოლიუციონური რუსეთი. დეგ, თელი ძალა უფლებით აღჭურ-

ვილმა მთავრობამ, რომელსაც მხარს უჭერს დემოკრატია, თავის წრეში გამოახოს ის ძალა, რომელიც ზემო ჩამოთვლილ ძალებს ქვეყნის სასარგებლოთ იამუშავებს. განცათათა მრისხანე ეამს, როცა საჭიროა თელი ძალების შემოკრება ქვეყნის დასაცავათ სამხედრო დარბევისგან. დეგ, ნუ იქნება შეწირული სხვერპლათ უბასუხისმგებლო პირთა. ან ჯგუფთა ინტერესების სასარგებლოთ თელი რუსეთის ინტერესები. ყოველგვარი ანარქისტული გამოსვლის აღმოფხვრასთან ერთად, რევოლიუციონურმა მთავრობამ აგრეთვე ძირშივე უნდა მოსპოს კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლანი.

დეგ, ხალხმა დაინახოს, რა ყველაფერი ქვეყნის დასახსნელათ კეთდება. დეგ, მან იკოდეს, რთ მთავრობა არავის ნებას არ მიცემს რევოლიუციონურ მოპოვებათა წინააღმდეგ მოქმედებისას. თუ მთავრობა ასე იმოქმედებს, მას მკვიდრი ნიდაგი ექნება ხალხში. მაშინ საშიშოც არ იქნება, არც ანარქისტული, არც კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულობანი. იმ ვასაკუთარებულ ზომებს, რომელსაც მთავრობა მიმართავს რევოლიუციონურ წესიერების აღსადგენათ, ხალხი ნდობით შეხედება, ვინაიდან ის მასში დაინახავს არა შურისძიებას, არა დათმობას ამა, თუ იმ ჯგუფის მუქარისადმი, არამედ ქვეყნის საჭიროებათა დაკმაყოფილების აუცილებლობას. ასეთი მთავრობა შეიძლება ქვეყნისა და რევოლიუციის მოპოვებათა დაცვას. დაუყოვნებლივ დამფუძნებელი კრების მოწვევით, დროებითი მთავრობა შეაწარმუნებს რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რაც ფაქტურათ ხალხმა უკვე გამოაცხადა. (ტაშის ცემა).

# ის ადგება!..

(ძღვ. ასათიანის ასულს, ედუხი წერეთლისას)

თითქმის ყოველ დღით ადრე, ძალიან ადრე გაისმოდა სოფიოს მწუხარე ხმა, ჩვენი სოფლის საყდრის გალავანში. იქ სხვებიც ტირილდნენ: მოთქვამდნენ—მოთქვამდნენ თავიანთ მიცვალეზულთა საფლავებთან, ჩაძახდნენ მათ მწარე ხვედრზე და გულს იოხებდნენ, თითქოს ამით პირადათ ლაპარაკობდნენ მათთან,

სოფიოს გულსაკლავი მოთქმა-ქვითინი ყველა სხვა მიამტირალეთა სვედიანი იყო; მართალია, ის მოთქვამდა ისე, როგორც ყველა სოფლის, ხნიერი, ან ახალგაზდა დედა კაცი, მარა მის ხმაში, იმდენი ნადღლიანობა ჭარბობდა, რო მსმენელთა შორის უზომო სიბრაღულს იწვევდა.

მას ყურს უგდებდნენ ფრინველნიც. ისინიც წუხდნენ — მასთან და თანაგძნობის ნიშნით, მუდამ ცვლქნი და მოყვიყვიენი, დუმდნენ, მარა ყბელობდა-კი მარტო ჩხიკვი.

ის წვრილ ფეხა ფრინველებში ძალიან შმაკია; მოკრავდა, თუ არა სიფიოს თვალს, გაიგონებდა, თუ არა მის ხმას, დიდ გაბურღულ ცაცხვის ტოტებზე, ხტუნაობასა და ჩხვილს იწყებდა. იმან ისწავლა სოფიოს სიტყვებიდან რამდენიმე გამოთქმა და დაცინოდა კიდევ.

— გოგი! გოგი! შენ მარტო იყავი ჩემი იმედი... ჩემი სიცოცხლე... ახლა, ახლა-კი... — და, ვინ იცის, რამდენ გულსაკლავ სიტყვებს არ მოაყოლებდა ზედ.

ასე მიდიოდა დრო.

პირველ ხანებში ბევრს მოღგომია თვალეზებზე ცრემლები სოფიოს საცოდაობით. მარა განვლო დრომ. თან და თანობით განვლდა გული მგძნობიარეთა.

ჰე, რას იზამთ... ხალხის ფიქრი, ზღვის ზღაპირზე მოგორავე ზვირთია. გულის თქმა, ცალკათა ტკლარტანი, იმედი აბობოქრებული სტიქია ცა-დენამიწის ფიქრი, მოტორტმანო ქარი სიცოცხლე, იცნება, ხოხოლითა აშენე-

ბული იმედები, ცალიერი იმედები. მარა, სოფიოს მწუხარე და სვედიანი გულის თქმა, ერ თხელაც არ დაშვებულა ზე აწეული სიმაღლიდან. ჰო, ასე იყო. მარა მას ხალხი აღარ უსმენდა: ის დაივიწყეს კიდევ და, როცა შისი უნუგემო ხმა დიდი ცაცხვის ქვეშ გმინავდა, ცრემლითა რწყავდა გოგის უმანკო საფლავს და გულსაკლავთ გაისმოდა ან ხმებში: „გოგი, ჩემო გოგი“ო! — ხალხის თანაგძნობის მაგიერათ, მხოლოთ-ლა ჩხიკვი ჩამოჩხავლებდა:

— გოგი! ჰი, გოგი გოგი — ო და კიდევ გაურკვეველ ხმით აჩხავლებოდა, რათგან მეტ სიტყვებს ვერ ახერხებდა.

სოფიოს წინათ ესმოდა ფრინველთა ხმა; ჩხიკვის ჩხავილი და მათი მოძრაობა, ისე თავისებურათ და მათთან ისიც მხიარულობდა — ერთობოდა, მარა მნიშვნელობას კი არ აძლევდა.

ახლა-კი, პირიქით, ყველა ამათ ხმას და, განსაკუთრებით, ჩხიკვისას მნიშვნელოვანათაც, თვლიდა.

ემ, ტკბილი იყო სოფიოსთვის წარსული, თუმცა ის კლე იყო, მარა კლე და მსუბუქა იყო სოფიოს ცოდნაც, — ფიქრი და გულუბრყვილო ზრახვები: ის ნორჩი, სულით აბეტაკია, სოფლის ვაების არ მკოდნე; წყემსი, ფეხშიშველა, ღარბი, მარა სიცოცხლე — სიკეთე და ბოროტების თანასწორი მოსიყვარულე იყო იმ დროს.

მას თან შეეზარდა გოგი.

ისინი ორივენი ერთად გაიზარდნენ; დაჯივლდნენ, ისე ჩვეულებრივთ, უმწკლოთ, მარა მიხვდნენ, რო ბუნებამ ისინი ერთმანეთისთვის აღზარდა.

ნეტავი, ამდღის მოგონებას!

რა კარგი დრო იყო ეს დრო!..

სოფლის ამოკება ყველაფერს ავიწყებს ალა მიანს. მუდმივი ტანჯვა — მწუხარება, ხშირათ მგძნობელობასაც უკარგავს მის გულს; შეჩერებს ერთ წერტილზე აზროვნებას და უძლურ მონათ ხდის ხოლმე.

ნათქვამია: დილით ადრე მიცვალებულთა სულები დაფრინავენ და ყველაფერს ათავალიერებენო-

სოფიოს და, საზოგადოთ, მიცვალებულთა ქირისუფალით, უმეტეს ცოლებს, ჯეროდათ ეს თქმა სოფლიათ.

სოფიო ადრინათსაყდარზე იყო. ის ამოიძახებდა პირველ სიტყვას, თუ არა, საიდანაც გაჩნდებოდა მისი ნაცნობი ჩხიკვი და დაასწრედა კიდევ:

—გოგი! ჰი, ჰი, გოგი, გოგი!..

—ჩემი გოგი!.. ჩემი... მოდი. გენაცვალეხელებს გაშლიდა საბრალო ქალი და ფრინველისკენ გაეშურებოდა: მას წარმოდგენილი ქონდა, რომ ის გოგის სული იყო, სული უჩინარი და უსხეულო, ჩხიკვის ბუნდღელში შემცვრალი.

ეს ფიქრი შეუბრალებლათ ტანჯავდა საბრალო ქალს.

ასე გადიოდა წლის სათვალავი დღეები, სოფიო სრულიათ შეიპყრო იმ აზრმა, რომ გოგის სული აუცილებლათ მალეა ტრიალებდა და ამიტომ იგი მუდამ საყდრის ვალაენისკენ მიიწევდა.

შემოდგომის დღეებში ჩხიკვი სადღაც გაქრა და ამან სრულიათ მოშხამა სოფიოს ისეც მოშხამული გული. მან ერთხელ ჩვეულებრივ მოთქმის დროს, ცაცხვის ხეს თვალი ააღვიწია.

ეს იყო დილით ადრე.

თვარე ახალი ჩასული იყო. მნათობნიც თითქო სადღაც გამქრალიყვენ; ცის კიდურს მხოლოთ განთიადის მახარობელი ვარსკვლავი-ლა ანათებდა ჩვეულებრივით.

სოფიო აქ მარტოც ხშირათ ყოფილა, ისე ვით ახლა, მარა შიში არ უგძენია. შიშზე მხოლოდ პირველ ხანათ ოცნებობდა, მარა შეეჩვია—კი, ხოლო ახლა..

მან გვერდ შემპალ ცაცხვს, რაღაც სინათლევ შენიშნა, იქ სადაც ერთი დიდი ტოტის თავზე ფულუროს კიდევ მოჩანდა.

აქ იგძნო შიში და ეს შიში გულში აღარ ეცლებოდა.

შემდეგაც ხშირათ ამჩნევდა იგი ასეთს სინათლევს, მარა ეს მხოლოთ, როცა ბნელოდა.

ამას სოფიოელებიც ამჩნევდა. სოფელში მალე ხმა გავრცელდა: გოგის საფლავზე, თიქო მოდიოდა, მისი, სიმბოლო, ხალხის თქმით რაღაც საოცნებო, რომელსაც, სახელათ რევოლიუციის და თავისუფლებას უწოდებდენ და ის, ესაუბრებოდა მიცვალებულს. ისინი, თითქო მომავლისათვის სამოქმედო გეგმასაც ადგენდენ.

გოგი რევოლიუციის სხვერპლი იყო და მით უფრო ჯეროდათ ეს.

საბრალო სოფიოს მარჩიელმაც ურჩია ამის შესახებ და უთხრა: „რევოლიუცია ვაიმარჯვებს, თავისუფლება დამყარდება და მისათვის წამებულნი აღზდგებიანო.“

— ჰო ადგება. — ფიქრობდა მუდამ სოფიო.

მებძოლთა გვამებზე წამოფენდა.

ძმობის სხივებმა გადმოაწათა!..

ძლიერათ ახმაურდა ქვეყნა: სასიხარულო ხმებიც ისმის.

სოფელში აენთო ლამპარი, აქა—იქ გაბედული სიტყვებიც თქვეს: მრავალი წლების განმავლობაში დამფთხალი ხალხი ისევ შიმობს, ურწმუნოა, მარა უიმედობას იმედი ძლევს.

რედაქტორ-გამომცემელი რომანოზ ფანცხავა.

შინაარსი

1. განახლების სიმღერა, ლექსი, ნ. ზენაბნიელისა.
2. უსათაურო, დ. თურდოსპირელისა.
3. აღექსანდრე მიხეილის ძე ყაზიბეგი.
4. მგონის დილა, ა. ნაბუღიანისა.
5. პირველი განათლების შუქი სოფლიათ, პიეხა, ჯანდაბასი.
6. ალიოშა ლორთაძე, რ. საჯავახელისა.
7. გუშინ და დღეს, შემდეგი, გ. ებრაელიძისა.
8. მკითხველს.
9. სადღისო, სერგო ბანტაძისა.
10. დამფუძნებელ კრებისთვის, ხ. ნინაშვილისა.
11. რუსეთის სინოდის და მისი აგენტების „ხაჭმენი საგმირონი“ ვლ. მაჭარაშვილისა.
12. კარლო ჩხეიძის სიტყვა, დასასრული.
13. ის ადგება, ვხკიო.

|| წ. მიიღება ხელის მოწერა 1918 წ. წ. ||

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

# „თავისუფლება“ - ჯე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ. რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი მკორე.) წლიურათ ჟურნალი ეღირება 1 ჰ მ. ნახევარი წლით 7 მ., სამი თვით 4 მ. ავიტარებ 1 მ. 50 კ. წლიურ ხელის მოწეროებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ: ქუთაისში ხელის მოწერა დაწებებს ყოველ შეიძლება მხოლოდ რედაქციის კანტორაში (სტამბა „მშობა“), ისედაც კვიცარიძესთან. თვილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. ვიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან. სამტრედიაში შინა კობალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ პ. დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, და მოსკოვში, სტ. შალვა დ. ვომაროვლთან. ფული უნდა გამოიგზავნოს

ამ მისამართით: **Хутайс. Роману Спиридоновичу Панцхавა.**